წელიწადი მესამე ფასი 7 კაპ. პარასკევი, 7 აპრილი, 1917 წ.

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

ტელეფონი 15—73

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი [illegible] პეტიტის [illegible] კნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი. დამატებითი № ღირს უფლებან 10 კაპ.

№ 75 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი № 75

# გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს თავისუფალ რუსეთში

კვირას, 9 აპრილს, გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი უდროვოთ გარდაცვალებულის, ტომსკის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის 5 კურსის სტუდენტის,

## ილია (ილიუშა) ივანეს ძე
## ქიმერიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც გულ-დამწვარი დედა ეკატერინე ალექსის ასული და ძმები იაგორ და მიხეილ ივანეს ძე ქიმერიძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ. წირვა დაიწყება დიდუბის ეკლესიაში დილის 10 საათზედ, ხოლო შემდეგ წირვისა პანაშვიდი თვითონ საფლავზედ დიდუბის ეკლესიის გალავანში.

(1—588—1)

## კომიტეტი
## ქართველთა სამხედრო კავშირისა

მოუწოდებს ყველა ქართველ მეომართ (ჯარისკაცებს, ოფიცრებს, სამხ. ექიმებს და მოხელეებს) ჩაეწერონ აღნიშნულ კავშირში, რომლის მიზანია რუსეთის რევოლიუციის ხელის შეწყობა და საქართველოს ავტონომია.

კომიტეტის ბინა მოთავსებულია ქართულ თეატრის შენობაში (სასახლის ქუჩა). იქვე მიიღება ცნობები, საღამოს 7 საათიდან 10-მდე.

კომიტეტი ქ. ს. კ.

## მეხილეთა ამხანაგობა „ქართლის" გამგეობა

აცხადებს, რომ წრეულაც განაგრძობს მოქმედებას და მიიღებს ყოველგვარ ხილსა და ბოსტნეულს იმავე წესით, როგორც აქამდე იყო.

## ამასთანავე 15 აპრილს ქ. გორში მოწვეულია დღის 12 საათზედ
## საზოგადო კრება

განსახილველია:

1) წლიური ანგარიში 1916—17 წლისა და საქმის მდგომარეობა. 2) მომავალი 1917—18 წლის ხარჯთ-აღრიცხვა და საორგანიზაციო გეგმა. 3) საქონლის შეძენის სხვა და სხვა პირობათა მიღება. 4) გამგეობის წევრთა არჩევანი და 5) მიმდინარე საქმეები და საკითხები.

(2—637—2)

## მოწოდება

ქართველო ხალხო, განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა ეხწრაფეთ დაიმუშავოთ ყოველივე ნაჭერი თავისუფალი ადგილისა, დაეხმარეთ ერთმანეთს, დასთესეთ სარჩოთ უფხო პური, სიმინდი, ქერი, ფეტვი, კართოფილი და ბოსტნეული, რომ ერმა თავი დააღწიოს უსაშინელეს კარზე მომდგარ სიმშილს. თუ ჩვენი მოსავალი არ მოგვივიდა, უბედურება ელის ერს. არ დაზოგოთ ფული და შრომა, რომ უზრუნველ ჰყოთ თქვენ თქვენი თავი და თქვენი ოჯახი. სხვისი იმედი ნულარ გაქვთ.

## დროებითი მთავრობის დადგენილების თანახმად გამოშვებულია

# თავისუფლების სესხი
# 1917 წლისა.

ამ სესხის ობლიგაციების ღირებულებაა 50, 100, 500, 1000, 5000, 10,000 და 25000 მან. წლიურად შემოაქვთ 5 პროც., რაიც წელიწადში ორჯელ იძლევა, ერთი 16 მარტს, მეორე 16 ენკენისთვეს.

სესხი გამოშვებული იქნება 55 წ. მისი ობლიგაციების გამოცემა მოხდება ყოველ წელს, 1922 წლიდან დაწყებული.

## სესხზე ხელის მოწერა დაიწყება 6 აპრ.-დან და გასტანს 31 მაისამდე 1917 წ.

სახელმწიფო ბანკების კანტორებსა და განყოფილებაში,
მუდმივ და საველე ხაზინებში,
სახელმწიფო შემნახველ კასებში,
წვრილი კრედიტის დაწესებულებაში,
კერძო კომერციულ ბანკებში,
ქალაქის საზოგადო ბანკებში და წვრილ საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში და იმ საერობო სამმართველოებში, რომელთა შესახებ ცალკე იქნება განცხადება.

## ხელმოსაწერი ფასებია
## 85 მან. 100 მან.
## რომელთაც დაერთოზათ ამ წლის 16 მარტ. პროცენტები.

ობლიგაციის ღირებულობა—ფასი, ერთ დროულად უნდა იქმნეს გადახდილი. იმ კვიტანციების (სანამ ნასყიდი ობლიგაციები ჩაჰბარდება მყიდველს) და აგრეთვე ობლიგაციის საშუალებით შეიძლება სესხის აღება. ამ შემთხვევაში, კვიტანციები ან ობლიგაციები უნდა წარედგინოს იმ სახელმწიფო ბანკში და ხაზინაში, სადაც ასეთი ოპერაციები—(სესხი) სწარმოებს, და მიეცემა ობლიგაციის ღირებულობის 75%, წლიური $5^{3}/_{4}$% შეღავათიან პროცენტით, რომელიც, ესე იგი, სესხის აღება, განთავისუფლებულ იქნება ყოველგვარ სახელმწიფო გადასახადებისგან, რაიც საზოგადოთ შემოღებულია მიმდინარე ანგარიშით და თამასუქებით—ვადიან სესხისა.

აღებულ სესხის განაღდება შეიძლება აგრეთვე 5% სავალდებულო სახელმწიფო ქაღალდების წარდგენით, წლიური 5% გამოკლებით.

შეძენილი ობლიგაციები მიიღება შესანახად სახელმწიფო ბანკში და ხაზინაში, უფასოდ: სამაგიერო დოკუმენტი, რომელიც მიეცემა ობლიგაციის პატრონს, საღერბო გადასახადისაგან განთავისუფლებულია.

(2—636—2)

## იყიდება

სახლი იარმუკაზე, რუსის, ბარონის, ნერსესოვის და დიდ ვანქის ქუჩების მახლობლად. იკითხეთ: პეტროგრადის ქუჩა № 8, ბინა 2.

(1—583—3)

## ექიმი
## ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანესოვისა).

მოხკოვის სასაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^{1}/_{2}$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914" და „606"
შეშხაპუნება

## ექიმი კბილისა
## ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა

იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ჩერქეზიშვილის და რეუტოვის ქუჩის კუთხე № 20.

## ექიმი
## მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

## ექიმი
## ნ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ
საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

## ორი პოლიტიკა

დღევანდელი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში აშკარად გამოირკვა ორი მიმართულება. დემოკრატია გულწრფელად მშვიდობიანობისკენ მიისწრაფვის. პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭომ მთელი ქვეყნის ერებს ცნობილი მოწოდებით მიმართა და საპატიო, უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი მოითხოვა. ამ მოწოდებამ რეალური ნაყოფი გამოიღო კიდეც. კოპენჰაგენსა და სტოკჰოლმში გერმანელი და რუსი სოციალისტების წარმომადგენლები შეიკრიბნენ და ზავის კონკრეტულ პირობებისთვის ითათბირეს. რასაკვირველია ამ თათბირს არა ოფიციალური ხასიათი აქვს. მაგრამ მისი ზნეობრივი მნიშვნელობა მაინც განუზომელია. რუსეთის რევოლუციამ გააძლიერა გერმანელი სოციალისტების გავლენა და თუმცა გერმანიიდან სტოკჰოლმსა და კოპენჰაგენში წასულ დელეგატებს ვილჰელ მეორისა და ბეტმან ჰოლვეგის მთავრობისაგან დავალება და დასტური არ ექნებათ, მათ სიტყვას მაინც დიდი ძალა აქვს ზავის საკითხში.

თუ პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს ცნობას დავუჯერებთ, გერმანელი და რუსი სოციალისტების წარმომადგენლები კოპენჰაგენში შემდეგ პირობებზე შეთანხმდნენ. ელზას-ლოტარინგია ისევ გერმანეთს უნდა შერჩეს. პოლონეთს დამოუკიდებლობა უნდა მიენიჭოს, ხოლო ბელგიას დამოუკიდებლობა დაუბრუნდეს, მაგრამ ისე, რომ არც ერთს ამ სახელმწიფოთაგანს უფლება არ ჰქონდეს საკუთარი მუდმივი ლაშქარი იყოლიოს. რუმინეთი ხელახლა უნდა აღსდგეს. სერბია, კროაცია და ბოსნია-ჰერცოგოვინა ავსტრია-უნგრეთის მფარველობის ქვეშ უნდა გაერთიანდეს, ოსმალეთის სომხეთს ავტონომია უნდა მიეცეს, ოსმალეთისავე პროტექტორატის ქვეშ.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ პროგრამაში უარყოფილია იმპერიალისტური და ანექსიონისტური მიზნები. პირიქით, ერთა თვითგამორკვევის უფლება დადასტურებულია. მართალია, დამოუკიდებელი სერბია ისპობა, მაგრამ სამაგიეროდ მთელი სერბიელი ერი ერთიანდება და ავტონომიას ღებულობს. ეს გაერთიანება კი შეიძლება ამ ხალხისთვის უფრო ხელსაყრელი აღმოჩნდეს, ვიდრე ის აჩრდილისებური თავისუფლება იყო, რომელიც უფრო საკუთარი მეფის ყოლაში იხატებოდა, ვიდრე ფართო ეკონომიურ და კულტურულ შემოქმედებაში.

მაგრამ კოპენჰაგენის თათბირის პროგრამაში არის ერთი მუხლი, რომელსაც შეიძლება გარეგნულად ანექსიის ელფერი ჰქონდეს. Lest not but least გერმანელ სოციალისტებს მოუთხოვნიათ, რომ ოსტზეის პროვინციები გერმანიას გადაეცეს. უეჭველია, აქ ნაგულისხმევია არა მთელი ეს კუთხე, არამედ კურლანდია და ლიფლანდიის სამხრეთი ნაწილი, რომელიც ახლა გერმანელ ჯარს უჭირავს. ისტორიული უფლების თვალსაზრისით ეს მოთხოვნა ადვილი ასახსნელია. ცნობილია, რომ ოსტზეის პროვინციები გერმანელთა მახვილით აღჭურვილმა ორდენმა დაიპყრო საშუალო საუკუნეებში და რიგა, მიტავა და ლიბავა დაარსა. რიგა დიდხანს გერმანული კულტურის მნიშვნელოვან ცენტრად ითვლებოდა. სხვათა შორის პირველად აქ იხილა მზის სხივი კანტის თხზულებებმა. მაგრამ დღეს კურლანდიის და ლიფლანდიის ბინადართა უმრავლესობას ლატიშელები წარმოადგენენ. ლატიშელი ერი კი ბოლო დროს განთავისუფლდა გერმანული კულტურის მზრუნველობისაგან. უსამართლობა იქნებოდა, რომ გერმანიის იმპერიამ უბრალოდ შეიეროს ეს ახალგაზრდა, ჯანსაღი ერი, რომელიც მძაფრად დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ მიისწრაფვის. ესეც კია, რომ გერმანელ სოციალისტ-დელეგატებს რუსი თანამოაზრეებისთვის გადაჭრით აღუთქვამთ, რომ ოსტზეის პროვინციების შესახებ განაგრძობენ მოლაპარაკებას. ასე რომ ამ საკითხში კიდევ შესაძლებელია დათმობა და შეთანხმება.

რამდენადაც რუსის დემოკრატიის საგარეო პოლიტიკა ნათელი და გარკვეულია, იმდენად ბუნდოვანი და ორჭოფია რუსის ლიბერალების საგარეო პოლიტიკა. დროებითმა მთავრობამ საგანგებო განცხადება გამოაქვეყნა ომის მიზნების შესახებ. ამ განცხადებაში მან საჯაროდ აღიარა, რომ „თავისუფალი რუსეთის მიზანია არა სხვა ერებზე ბატონობა, არა მათი მიწა-წყლის მითვისება, არამედ მკვიდრი ზავის დამყარება ხალხთა თვითგამორკვევის ნიადაგზე". მაგრამ ეს ზოგადი ფორმულაა. მკვიდრი ზავი და ეროვნული თვითგამორკვევა ყველას თავისებურად ესმის და დღეს, როცა ზავის საკითხი უკანასკნელ ფაზაში გადავიდა, რუსის ლიბერალები ვალდებულნი არიან თავიანთი კონკრეტიული პირობები გამოაშკარავონ.

„სახალხო თავისუფლების" პარტიის (ყოფილი „კადეტების") კრებაზე, რომელიც ამ ერთი კვირის წინად შესდგა, მოქალაქე როდიჩევმა ცხარე სიტყვა წარმოსთქვა ომის მიზნებისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ. ამ სიტყვამ ხანგრძლივი ტაშისცემა გამოიწვია. გადასწყდა, რომ ის მილიონ ცალად დაიბეჭდოს და მთელს რუსეთს მოეფინოს. სჩანს რუსის ლიბერალები სავსებით ეთანხმებიან თავის ბელადის თვალსაზრისს.

რა სთქვა მოქალაქე როდიჩევმა ომის შესახებ? მან დიპლომატიური თავდაჭერილობით და მოკრძალებით განიმეორა ის, რასაც გუშინ გულახდილად ამბობდნენ რუსის იმპერიალისტები. სჩანს, რომ ფინლანდიის საქმეთა მინისტრს არაფერი დავიწყნია და არაფერი შეუძენია მშვენიერ ჰელსინგფორსში თითქო წინად მდეგია დაპყრობისა და ანექსიის. მაგრამ მას ჰგონია, რომ დამოუკიდებელი პოლონეთი, ავტონომიური გალიცია და ავტონომიური სომხეთი უსათუოდ რუსეთთან უნდა იყოს შეკავშირებული და არა გერმანიასა, ავსტრია-უნგრეთსა ან ოსმალეთთან. თვით კონსტანტინოპოლი, როდიჩევის აზრით, ოსმალური ქალაქი როდია: იქ მხოლოდ 140.000 ოსმალო სცხოვრობს, დანარჩენები ქრისტიანები და ებრაელები არიან. რა დასკვნა გამომდინარეობს ამ სტატისტიკიდან? ის, რომ კონსტანტინოპოლი რუსეთს უნდა ეკუთვნოდეს? ამას გულახდილად ვერ ამბობს რუსის ლიბერალების მეთაური. მაგრამ მისი წარმოთქმული სიტყვები არსებითად იმასვე ამბობენ: „ჩვენ გვინდა არა კონსტანტინოპოლი, არამედ სრუტეები". სრუტეები ხომ კონსტანტინოპოლის გასაღებია: აია სოფია იმის ხელში იქნება, ვისაც ბოსფორი და დარდანელი ეჭირება. აშკარაა, რომ რუსის ლიბერალები დაპყრობითი ომის განგრძობისთვის ოცნებობენ.

სახიფათოა დონკიხოტობა პოლიტი-

კაში, კიდევ უფრო სახიფათოა ცეც-ხლთან თამაში. თითქმის სამი წელიწადია რაც მსოფლიო ომი დაიწყო, ამ ხნის განმავლობაში რუსის ჯარი საგრძნობლად არ მიახლოვებია აღთქმულ სრუტეებს. რამდენი წელიწადი უნდა ვიბრძოლოთ კიდევ, რომ აია სოფიის გუმბათზე ნამგალა მთვარის მაგივრად ჯვარი აიმართოს? როგორც სჩანს ფუჭი ყოფილა ის იმედი, რომ მტრის ბანაკშიც რევოლუცია მოხდება რუსეთის მსგავსად. ვილჰელმ ჰოჰენცოლერნს ნიკოლოზ რომანოვის წინაშე ერთი დიდი უპირატესობა აქვს: მას შეუძლია ისარგებლოს რევოლუციის ცოცხალი გაკვეთილით. რა რიგ ბეცი არ უნდა იყოს ეს მბრძანებელი, იმდენად ბრმა მაინც არ იქნება, რომ იმავე ხრამში გადაიჩეხოს, სადაც მის თვალწინ უკანასკნელი რომანოვი გადავარდა. ვილჰელმ მეორემ გერმანიის დემოკრატიას ბევრი რამ დაუთმო, კიდევ მეტს დაუთმობს ახლო მომავალში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუსის ჯარს საქმე ექნება არა გათიშულ, არამედ გაერთიანებულ და გაძლიერებულ მოპირდაპირესთან. გერმანელი სოციალისტების მთავარმა ორგანომ „ფორვერცმა“ ეს გარემოება ნათლად აცნო მტრებსაც და მოყვარეებსაც.

თვით დროებითმა მთავრობამ აღიარა, რომ სამშობლო დიდს განსაცდელშია. მტერი პეტროგრადს ემუქრება. რა იქნება თუ ჰინდენბურგის ჯავშნიანი მუშტი მართლაც რუსეთის დედა ქალაქს მიუახლოვდა? შესაძლებელია, რომ ამან გამოიწვიოს რუსეთის ვანდეა, კიდევ უფრო მოსალოდნელია, რომ მემარცხენე ელემენტების გავლენა გაძლიერდეს. ორივე შემთხვევაში რუსის ლიბერალები წაგებული დარჩებიან. ენა-წყლიანი როდიჩევებისა და სუსტ ნერვებიანი კერენსკების ადგილს რუსის მარატები და რობესპიერები დაიჭერენ, რომელნიც ძველს ანგარიშებს ცოტათი უფრო ენერგიულად გაასწორებენ, ვიდრე დღევანდელი მინისტრები შვრებიან.

ასეთი პერსპექტივის წინაშე ყველაზე მეტად სწორედ რუსის ზომიერ ლიბერალებს მართებს ჩაფიქრება.

## ხმა ფინეთიდგან

არა მგონია, რომ საქართველოში იყოს რომელიმე საზოგადო ხასიათის ჯგუფი, რომელსაც არ ესმოდეს ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ დადგა დრო ყველა ჩაგრულ ერთა განთავისუფლებისა და რომ დღესვე **საქართველომ უნდა მიიღოს სახელმწიფოებრივი ავტონომია.** ამ მიზნის მისაღწევად კი, ცხადია, ხელი უნდა შევუწყოთ უკიდურეს დემოკრატიულ წესწყობილების გაძლიერებას რუსეთში და, ამასთან ერთად, ჩვენ სამშობლოში საკუთარის თაოსნობით თანდათან გავატაროთ პრინციპი თვითმართველობისა, რომელშიაც, ეხლავე ისეთივე დემოკრატიული პრინციპები უნდა იქნეს ჩაქსოვილი, როგორიც იქნება რუსეთის მრავალ ერთა შემაკავშირებელ რუსეთის რესპუბლიკაში!... დღევანდელ მომენტში ჩვენ შორის არავითარ გაუგებრობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს! საჭიროა შეთანხმება და ერთ გასაგებ ენაზე ლაპარაკი!.. საჭიროა დაუყოვნებლივ იქნას მოწვეული **საქართველოს დამფუძნებელი კრება,** რომელიც სრულიად ქართველ ერის სახელით გამოიმუშავებს საქართველოს დამოუკიდებლობის სახეს და გარკვეულის გეგმით წარსდგება სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების წინაშე...

დღეს, რუსეთში მოსახლე პატარა ერები დიდის სიმკვირცხლით და ხალისით მუშაობენ. ერთ წუთსაც არ ჰკარგვენ... მე, შორიდან შეცყურე ქართველთა მოქმედებისა, ვხედავ, რომ, სხვებთან შედარებით, ჩვენი საქმიანობა მეტად ხელის ნაბიჯით მიდის. ჩვენზე პატარა ერები: რაოდენობით, კულტურით, ტერიტორიით და საერთაშორისო უფლებით ჩვენზე ნაკლებ აღჭურვილნი—ლატიშები, ბელორუსები და ესტონელები ჩვენზე გაცილებით სისწრაფით და დიდის შესაფერისად მოქმედებენ. მათ შესახებ ბევრი იწერება და ყურადღებასაც დიდს იქცევენ. ჰქმნიან მათ სასარგებლო საზოგადო აზრს და სხვა. ჩვენს შესახებ კი, რუსეთის გაზეთებში, დღევანდელ მომენტთან და სხვა ერების მოქმედებასთან შედარებით, გაცილებით ცოტა და უმნიშვნელო რამ იწერება!!.. მართალია, საზოგადოთ კავკასია და კერძოთ საქართველო განსაკუთრებით ცუდ პირობებში იმყოფებიან, მაგრამ ეს ყოველივე, რაც შეიძლება მალე, უნდა დაძლეულ იქნას, თორემ დრო ჩვენ არ მოგვიცდის!..

მალე სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება შესდგება, სადაც გადაწყდება ყველა ერთა საკითხები და მათი ბედი. საჭიროა ჯერ ჩვენი შეთანხმება ქართულ დამფუძნებელ კრების სახით, მერე შეთანხმება კავკასიის ერებთან და რუსეთის არა რუსთა ეროვნებასთან, რათა მათთან ერთად და რუსეთის დემოკრატიულ და სოციალისტურ ძალებთან ერთად განვამტკიცოთ რუსეთის დემოკრატიული რესპუბლიკა და ერთა დამოუკიდებლობა, შეკავშირებული ფედერატიულად... აი, ამას გვეკარნახებს, ჩემის აზრით დღევანდელი მომენტი!..

ყოველივე ზემო ჩამოთვლილი კი დროს მოითხოვს განსაზღვრულს. ყოველი მათგანი ჩვენი მოქმედების განსაკუთრებული ეტაპია და თუ პირველ ეტაპზე დიდხანს შევჩერდებით, მორიგ ეტაპებისთვის დრო არ დაგვრჩება და ამ რიგად, უცბად უკანასკნელ ეტაპში მოგვიხდება მოქმედება, რაც გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს ჩვენი ერის განთავისუფლების საქმეს... პრინციპი დროის გონივრულად განაწილებისა მტკიცედ უნდა იქნას დაცული ჩვენს მოქმედებაში, თუ გვსურს საერთო საქმის კეთილად დაგვირგვინება!

ასეთ საქმიანობასთან ერთად, ეხლავე უნდა შესდგეს, თუ ჯერ არ შემდგარა, **კავშირი რესპუბლიკის მომხრე ქართველ მხედართა,** რომელიც იმოქმედებს პეტროგრადში არსებულ რუსეთის რესპუბლიკანელ მხედართა კავშირთან შეთანხმებით. ქართველ მხედრობას, როგორც ასეთს, თავისი დანიშნულება აქვს, რადგან მხედრობას ამ რევოლუციამ უდიდესი როლი აკუთვნა. ეს მით უფრო ყურადსაღებია, რომ პეტროგრადის მხედართა კავშირში შედიან რუსეთში მოსახლე სხვა და სხვა ერის წარმომადგენელნი, რომელნიც სცნობენ, რომ მხოლოდ დემოკრატიულ რუსეთთან ერთად არის შესაძლებელი ჩაგრულ ერთა განთავისუფლება და მათი შეკავშირება ფედერატიულად. ასეთივე დადგენილება გამოიტანა ჰელსინგფორსში მომხდარ ესტონელთა კონფერანციამ, რომლის ოქმსაც მალე მივიღებ და გამოგზავნი. ასევე იქცევიან: ლატიშები, ბელარუსები, ებრაელები, პოლონელები და სხვანი. თუ ჩვენ ვფიქრობთ მათთან ერთად მოქმედებას და საერთო მიზნის მიღწევას—გვმართებს მოქმედების შეხამებაც!..

ყოველ ქართველს, ეს იქნება ჯგუფი, პიროვნება, კალმოსანი თუ ხელოსანი, მარად უნდა ახსოვდეს, რომ ყოველ მის აჩქარებულ და შემცდარ მოქმედებას, ეს იქნება სიტყვით, წერით თუ საქმით, დიდი უბედურების და ზიანის მოტანა შეუძლია მშობელ ერისთვის, სამართლიანობისთვის და კაცობრიობისთვის! დღეს მომენტია ისეთი, რომ ყოველ მომაკვდავის მოქმედებას დიდი ღირებულება აქვს... მაშ გონივრულად, გულწრფელად და სიყვარულით ვიმოქმედოთ ძვირფასნო მამულიშვილნო!.. სამშობლო მოგვიწოდებს!.. თავისუფლება გვიხმობს!.. მაშ გაუმარჯოს ჩვენს ერთობას და სიყვარულს! გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!.. გაუმარჯოს რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას, ერთა თავისუფლებას და მათ კავშირს—ფედერაციას!

დათიკო ჩიქოვანი.

3 აპრილი, 1917 წ.
ჰელსინგფორსი.

## პრესის მაგიერ

გაზეთი „ერთობა“ „საქართველოს“ აღდგომის ნომერში დაბეჭდილ მეთაურს გამოეხმაურა. არ მოველოდით, რომ „ერთობის“ რედაქცია ან კამათის მანერას შეიცვლიდა ან წერის კილოს. დღეს უფრო, ვიდრე ოდესმე სხვა დროს, სოციალ-დემოკრატიული გაზეთი და პარტია შეპყრობილია სხვა პარტიების გათელვისა და თავის-თავის გაბატონების სურვილით. ამ მიზნის მისაღწევად არც გაზეთი და არც პარტია არავითარ საშუალებას არ ერიდება. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ის დაჟინებითი ცილისწამებანი, რომელთაც ჩვენ თავზე გვახვევენ. გვწამებენ, თითქოს ჩვენ ვთიშავდეთ რევოლიუციურ ხალხის ძალას და წარა მარა ქართველ მხედართა კავშირს „პირში გვჩრიან“.

ასეთი ორგანიზაციის დაარსება კონტრ-რევოლიუციურ ნაბიჯათ მონათლეს და მერე ამის თაოსნობა ჩვენ მოგვაწერეს: „მათ (ე. ი. ჩვენ) შექმნეს ქართველ ჯარისკაცთა და აფიცერთა ცალკე ორგანიზაციაო“. ეხლა არ შევალთ იმის გარჩევაში, არის ეს კონტრ-რევოლიუციური ნაბიჯი თუ არა, ამის თაობაზე ჩვენ ჩვენი აზრი უკვე გამოვსთქვით. ეხლა გვინდა ვსთქვათ მხოლოდ, რომ ნამუსიანი მწერალი ამ სამხედრო ორგანიზაციის დაარსების თაოსნობას ჩვენ ვერ მოგვაწერდა. ეს იყო თვით ქართველ ჯარისკაცთა და აფიცერთა საქმე, არც ერთ პარტიას აქ ხელი არა ჰქონია. ამას ვწერდით და ვწერთ, ამის შესახებ აი რას სწერს თვით ქართველ მხედართა კავშირი პასუხად სოციალდემოკრატების შესახებ:

„პირველ ყოვლისა სამხედრო კავშირი გამოსთქვამს თავის აღშფოთებას ეგეთ ცილისწამებისათვის, ვინაიდან კავშირის დაარსებაში არავითარი წილი არ უდევს არავითარ პარტიას. კავშირი დგას ყოველივე პარტიის გარეშე, თუმცა წევრებს შეუძლიათ, როგორც მოქალაქეს, იყოს წევრი რომელიმე პარტიისა, მაგრამ არც ერთ წევრს არ აქვს უფლება კავშირის მოქმედება დაუქვემდებაროს რომელიმე პარტიას“.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სოციალდემოკრატები თავისას არ მოიშლიან და კვლავაც გვეტყვიან, მხედართა კავშირი თქვენ დააარსეთ და თქვენი პარტიული ორგანიზაცია არისო. ეს საჭიროა მისთვის.

მივაქცევთ ყურადღებას კიდევ ერთ გარემოებას: „ერთობას“ ამოუღია შემდეგი ერთი წინადადება ჩვენის წერილიდან: მთელი ქართველობა, რომელიც თქვენი პარტიის გარეშე სდგას, ამ საქმეში ბრალსა თქვენა გდებთო“ და დასძენს: მთელი ქართველობა ჩვენი პარტიის გარეშე მდგარა! მაშ ვისგან შესდგება სოციალდემოკრატია? ალბად სომხებისა და რუსებისაგან. ასეა არაო? ჩვენ ვწერდით იმ ქართველობის შესახებ, რომელიც მათ პარტიის გარეშე სდგას და არა იმის, რომ მთელი ქართველობა მათ პარტიის გარეშე იდგა. ნუ თუ დაწერის გაგების უნარი ჩაახშო ცილისწამებით ფონში გასვლის სურვილმა?!

## სახელდახელო

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი)

ამიხირდება მკითხველი, რაღაა ყბად ასაღები და წყალ-წასაღები, ყველა ეგ ძველს მთავრობას გაჰყვა და ჩაიარა, ჩაილულის წყალი დალიაო.

შენს პირს შაქარი, მკითხველო, რომ აგრე იყოს.

წასვლა მისი და მოსვლა აღარა!...
წინ წყალი და უკან მეწყერი!..

სამწუხაროდ, აგრე არ არის.

ძველმა მთავრობამ იმდენი ჭუჭყი და სიბინძურე დასტოვა, რომ რევოლიუციის ნიაღვარი, რაც უნდა ძლიერი იყოს, აგრე ადვილად ვერ გადარეცხავს.

ჯერ ბევრი წმენდვა, რეცხვა და ხეხვა დასჭირდება, რომ აშმორებულ მძორის ნაშთი ძირიან-ფესვიანად ამოიფხიკოს და ამოიწმინდოს.

ას წელიწადზედ მეტს ხანს გვედგა კისერზედ უღელი მძლავრობისა და მტარვალობისა და იმის სიმძიმეს, მის უდიერობას არ შეიძლებოდა თავისი კვალი და დაღი არ დაეტოვებინა...

მაგრამ დავუბრუნდეთ ჟამთა სიავეს.

რუსთა სარწმუნოებას, სხვათა შორის, ერთი განდგომილი შტო აქვს, რომლის აღმსაარებელთაც „ხლისტებს“ ეძახიან.

იმათა სწამთ, რომ „ძველი“ ქრისტე ერთი იყო, მაგრამ „ახალნი“ მუდმივ არიან და შეიძლება კიდეც ერთ დროს რამდენიმე ქრისტე იყოსო.

ამ მწვალებელთა რწმენისა რა მოგახსენოთ-და, მე კი ახლა დავრწმუნდი, რომ იუდა ისკარიოტელი ბევრი ყოფილა და ეხლაც მრავლად არის.

გაიხსენეთ იუდას ამბავი.

იგი იესოს ერთი ათ-თორმეტ მოწაფეთაგანი იყო, რომელმაც გასცა მოძღვარი თვისი. თერთმეტი მოწაფე იესოს გალილეველი ჰყავდა და მარტო იუდა იყო ქ. კარიოტიდგან, განაგებდა გვადრუცსა და მაინც ამბორის ყოფით ჯვარს საცმელად გასწირა ქრისტე ოც და ათ ვერცხლად, ანუ ოც-და-ოთხ მანეთად, რადგან თითო ვერცხლი ოთხ აბაზს უდრიდა. *)

გადაათვალიერეთ გაზეთები და დარწმუნდებით იუდათა სიმრავლეს.

ხოლო დროთა სრბოლამ სახელი შეუცვალა. ეხლა უწოდებენ:

— „პროვოკატორს!“
— ჯაშუშს!
— „ახრანკის“ საიდუმლო თანამშრომელს!

აგერ კონონ ცინცაძე, ნესტორ დიდებულიძე, ვლადიმირ კოპალეიშვილი, პეტრე ქალანთაროვი, ანდრია ბერეჟიშვილი, ანდრია...

ზოგიერთის დასახელება კალამსაც კი ეძნელება.

*) მაშინ ოც-და-ათი ვერცხლი მთელს ქონებას შეადგენდა, ჩვენს დროს ჩვეულებრივი იუდანი უფრო იაფად გასცემდნენ ქრისტეს.

მთელი ლეგიონია!..

ჩვენ შორის იყვნენ, „ამხანაგად“ ითვლებოდნენ, ფარულ, ხალხის ჭირისუფალ, ძლევა-მოსილ მტარვალობისა და ძალ-მომრეობის წინაამდეგ მებრძოლ დასთა წევრებად ირიცხებოდნენ, გაზეთებში თანამშრომლობდნენ, დასს ჰმეთაურობდნენ, „ამხანაგთა“ ნდობას იმსახურებდნენ

და ამავე დროს

საიდუმლო პოლიციის მოხელენი ჰბრძანდებოდნენ, გამცემლობისა და მაბეზღრობისათვის სასყიდელს იღებდნენ, ხალხისათვის თავ-განწირულ, ერის საუკეთესო შვილთ მტარვალთ ასმენდნენ, ციხეში აპატიმრებინებდნენ, სამართალში აძლევინებდნენ, ციმბირსა და კატორგაში აგზავნინებდნენ...

ცალის ხელით ამბორი და მეორეთი ამხანაგთა დასმენა!..

ერთი ფეხი „ამხანაგთა“ საიდუმლო კრებაზედ და მეორე „ახრანკის“ კიბეებზედ!..

ამაზედ უსაძაგლესი, ამაზედ უსაზიზღრესი განა წარმოსადგენია და რამე?!..

ვინ მოსთვლის, რამდენი ახალგაზრდა და ქვეყნის გულ-შემატკივარი შეეწირა იმათის წყალობით ციმბირის ჰაობიან, ცივს ბუნებას, რამდენი დაჰლექდა და დაავადდა, რამდენი გამოესალმა ადრე და მალე ნორჩს სიცოცხლეს და სამშობლო მიწასაც-კი ვერ ეღირსა, იქვე დაიმარხა უცრემლოდ და დაუტირებელი!..

იუდაო!..

იუდაც კი საბრალოა ამათთან შესადარებლად.

იუდამ ერთხელ სცოდა და თვითვე მოინანია.

სინიდისმა დასტანჯა და თავი ჩამოიხრჩო.

ჩვენი იუდანი-კი წლობით დღე ყოველ სცოდავდნენ, დღე ყოველ გასცემდნენ და მაბეზღრობდნენ და იმათს სინიდისს ქენჯნვა არ ეკარებოდა.

იუდამ ერთხელ, ერთ-გზობით აიღო სასყიდელი.

ჩვენი იუდანი მრავალ წლის განმავლობაში ყოველ თვე ჯამაგირს იღებდნენ თურმე!..

იუდას არავინ სდევნიდა და თვისისავე სინიდისის მხილებამ თავი მოაკვლევინა.

ჩვენის დროის იუდებს სდევნიან და ისინი მაინც საპატიმროში თავ-ცოცხლად ჰბოგინებენ, სიკვდილით სასჯელის შიში აცილებული აქვთ, რადგან ახალმა, რევოლიუციის შემდეგ დროებით დადგენილმა მთავრობამ სიკვდილით დასჯა გააუქმა, და იქნება შავთა დროთა უკუღმა დაბრუნებასაც ჰნატრობენ, რომ ტყვეობიდგან განთავისუფლდნენ და ისევ თავისს სამარცხვინო ხელობას მიჰყონ ხელი.

მაშ რა შესადარებელია ამათთან იუდა ისკარიოტელი?!-

ესენი მრჩობლ-იუდანი არიან!..

ვაჰ გამცემელსაო, ამბობს სახარება იუდას შესახებ: უმჯობეს იყო მისა, უკეთუმცა არა შობილიყო კაცი იგიო“.

ამათ შესახებ რაღა გვეთქმის?..

ოლონდაც, რომ სჯობდა არა შობილიყვნენ მშობელთა თვისთა გასაწბილებლად და თავისს სამშობლოს სამარცხვინოდ.

ჩიორა

## რევოლიუციის დეპეშები

5 აპრილი.

### ნამესტნიკის თანაშემწეთა დათხოვნა

**პეტროგრადი.** სამახურიდან დაითხოვეს ნამესტნიკის თანაშემწენი სამხედრო—იანუშკევიჩი და სამოქალაქო—თავ. ორლოვი.

### თავისუფლების სესხი

**პეტროგრადი.** დროებითმა მთავრობამ მოქალაქეთადმი მოწოდება გამოსცა. სამშობლო განსაცდელშია, მტერი ძველი წყობილების აღდგენას გვიქადის. საჭიროა დიდი ხარჯი თავისუფლების და მამულის დასაცავადაო. ხელი მოაწერეთ ახალს სესხს. ხელის მოწერა აპრილის 6 დაიწყება.

### სტამბოლის საკითხი

**ტოკიო.** აქაური გაზეთები რუსეთის მთავრობის იმ დეკლარაციის შესახებ მსჯელობენ, რომლითაც დროებითი მთავრობა ტერიტორიალურ შეძენაზე უარს ამბობს. გაზეთები ამბობენ, სტამბოლზე ხელის აღებას რუსის ხალხი არ მოითმენსო. რუსეთმა დიდი სახელმწიფოს სახელი უნდა შეინარჩუნოსო.

### კერენსკი

**ჰელსინგფორსი.** დღესასწაულები კერენსკიმ ფინლიანდიაში გაატარა. გრანკულის სანატორიუმში აპრილის 3-ს, ორივე სქესის ბავშვთა სასწავლებელი ინახულა და ბავშვებს სიტყვა უთხრა. გოგოებმა უბრალო ყვავილები მიართვეს. საერთოდ კერენსკის აქ დიდის პატივით და ყურადღებით ეკცეოდნენ და ყვავილებს უგზავნიდნენ.

### გერმანელების აზრი დროებით მთავრობის დეკლარაციის გამო

**სტოკჰოლმი.** ბერლინიდან იტყობინებიან: „ნორდ-დეიტშე-ალგემაინე-ცეიტუნგი“ სწერს: „რუსეთის მთავრობის დეკლარაცია, 28 მარტს რომ გამოსცა, უმთავრეს დებულებებში სავსებით ეთანხმება იმ დეკლარაციებს, რომლებიც ცენტრალ სახელმწიფოებს არა ერთხელ გამოუციათ. ცენტრალ სახელმწიფოებს არა ჰსურთ რუსის ხალხის დაჩაგვრა. მათი ერთად ერთი სურვილი ის არის, რომ მეზობელთან კეთილად იცხოვრონ. გერმანეთს რუსეთის შინაურულ ცხოვრებაში ჩარევა არა ჰსურს. რუსების დამარცხება გერმანელების მიერ სტოხოდზე მხოლოდ ტაქტიკურის მოსაზრებით იყო გამოწვეული და მას რამე დიდი ოპერაციის მიზანი არა ჰქონია. თუ რუსეთი შემდეგშიაც ბევრს სისხლს დაჰღვრის, ამის ბრალი გერმანეთს კი არ ექნება, არამედ რუსეთის მოკავშირეებს, რომელთაც ჰსურთ, რომ რუსეთმა ნაკისრი მოვალეობანი შეასრულოსო“.

### მთავრობის მოწოდება

**პეტროგრადი.** მთავრობამ მოწოდება გამოსცა. 18 მარტამდის ჯარისკაცთა მიერ ჩადენილი ყოველნაირი დანაშაულობა ეპატიოთ. ეპატიოთ დეზერტირობა და სამხედრო ბეგრის თავიდან ასაცილებლად ჩადენილი ყოველნაირი ხერხი. ხოლო 18 მარტიდან კი ახლად ჩადენილი ასეთი დანაშაულობანი აღარ ეპატიებათ და სამხედრო და სამოქალაქო—სისხლის სამართლის ძალით დაისჯებიანო. მთავრობა მიმართავს მოქალაქეთ, თითონ აღევნონ თვალყური დეზერტირებს და მთავრობას დაეხმარონ მათ მოკრებაში.

### „თავისუფლების სესხი“

**პეტროგრადი.** აპრილის ოთხს როძიანკოს თავმჯდომარეობით მოხდა სხდომა საზოგადოებრივ კომისიისა, რომელიც სამხედრო სესხებს უნდა დაეხმაროს. სხდომას დაესწრნენ მინისტრები ფინანსთა, სამართლისა, მიწადმოქმედებისა, სინოდის ობერ-პროკურორი, სათათბიროს აღმასრულებელ კომიტეტის წევრები, პროფესორები, წარმომადგენელნი პრესისა, პეტროგრადის კოოპერატივებისა და ბანკებისა. აღინიშნა საზოგადოების ერთსულოვნება „თავისუფლების სესხისა“-დმი და სრული წარმატება უწინასწარმეტყველეს. კომიტეტის მიზანია სესხის პოპულიარიზაცია. უნდა გაიმართოს ლექციები, საუბრები, მიტინგები. სესხის გამოშვების დროც სავსებით შესაფერად არის აღიარებული. სხდომას დაესწრო საზღვარ-გარეთიდან მოსული ლენინი. მან კრიტიკა გაუკეთა არსებულ ორგანიზაციების პროგრამებს და ის აზრი გამოსთქვა, რომ საჭიროა ახალ სოციალისტურ კომუნისტურ ორგანიზაციის შექმნა, უკვე დამპალ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციების ნაცვლადო. ლენინს პასუხი გასცა მრავალმა ორატორმა. კრებამ ერთხმად აღიარა საჭიროა შეერთებულ კრების მოწვევაო.

შორეულ-აღმოსავლეთის საზღვრებზე რუსეთში საზღვარ-გარეთული საქონელი უბაჟოდ მრავლად შემოდის. ეს მოვლენა ხაზინას დიდ ზარალს აყენებს. ამიტომ ფინანსთა მინისტრის წინადადებით აპირებენ საბაჟო კანონების ამოქმედებას.

### ლაშქრის მდგომარეობა

**პეტროგრადი.** მინისტრების და ლაშქრის უმაღლეს წარმომადგენლების კრებაზე გამოირკვა, რომ ლაშქრის მდგომარეობა მარტის 5-დან—15-დის შესამჩნევად გაუმჯობესდა. გაუმჯობესდა ლაშქრისათვის სურსათის მიწოდების საქმე. მიწად-მოქმედების მინისტრმა განაცხადა, რომ ლაშქრის დაპურება სავსებით შეიძლებაო. ეს საქმე ცოტა ძნელია ჩრდილოეთ-ლაშქრისათვის. კავკასიის ლაშქრის მდგომარეობა ყველა ლაშქარზე საუკეთესოა. ჯარიც რევოლიუციის შემდეგ დამშვიდდა. დისციპლინაც აღსდგა. ლაშქარი გულ-მაგრადაა და იმედი აქვს მტრის მოგერიებისა.

### აჯანყება სერბეთში

**კორფუ.** სერბეთში აჯანყებაა. მიზეზად ბოლგარელების სასტიკ ტერორს ასახელებენ. მოძრაობა ჯერ ისევ დეკემბერში დაწყებულა ნიშის, ვრანიას, ლესკოვაცის და პროკალეს ოლქებში. რევოლიუციონერთა აგენტები სოფლებში დადიოდნენ. ორ მარტს პროკალეში დაწყებულა აჯანყება. რევოლიუციონერებს ხელთ უგდიათ ბოლგართა იარაღის საწყობები, შეიარაღებულან. ყველგან ბოლგარელები [illegible] სერბელი [illegible]. შემდეგ სერბიელებს ნიშზე გაულაშქრიათ. ბოლგარელებს ორი დივიზია ჩაუყენებიათ ნიშთან, სერბიელების წინააღმდეგ. გაჩაღებულა ბრძოლა. სერბიელებს ყუმბარები ნაკლები ჰქონიათ და ხელ-ჩართული ბრძოლის გაჩაღება უპირებიათ. ბოლგარელებს ზარბაზნებით ბევრი სერბიელი გაუწყვეტიათ. ორი კვირის ბრძოლის შემდეგ ბოლგარელებს ერთი დივიზია კიდევ მიშველებია და ამის შემდეგ სერბიელებს უკან დაუხევიათ.

## ეროვნული საკითხი

(დეპეშები)

6 აპრილი

### ფინეთი

**ჰელსინგფორსი.** ახალგაზრდა ფინელთა კრებამ დაადგინა: ფინეთის ხალხი მიისწრაფის მეტ დამოუკიდებლობისაკენ და ამიტომ მან ყოველი ღონე უნდა იღონოს, რათა დაიცვას და გააფართოვოს მოპოვებული თავისუფლება. ფინეთის უფლება-თვითმართველობისა დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდესო.

### ებრაელები

**პეტროგრადი.** მაისის პირველ ნახევარში გაიმართება სიონისტთა მეშვიდე კრება. განცხადებანი მიიღება სიონისტთა კომიტეტში პეტროგრადში.

### უკრაინაში

**კიევი.** უკრაინელების მოქმედება დიდი სისწრაფით ვითარდება. ყველა პარტიები შეერთდნენ უკრაინელ რადაში, სადაც თავმჯდომარედ მიხაილო გრუშევსკია. გაიხსნა უკრაინული გიმნაზია და სკოლები. უნივერსიტეტის უკრაინულად გადაქცევას აპირებდნენ. უკრაინელი პროფესორი ვასილენკო ოლქის მზრუნველად დანიშნეს. დაარსდა უკრაინელთა სამხედრო კლუბი, სდგება უკრაინელთა ლეგიონები. გაიმართა გრანდიოზული უკრაინელთა მანიფესტაცია, უკრაინელ ჯარის მონაწილეობით. უმეტესი წარწერა დროშებისა—ფედერატიული რესპუბლიკაა' ამასვე თხოულობს უკრაინელთა რადა (საბჭო). (ს. ფ.)

## ბრძოლის ველზე

ბრძოლის ველისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს სახელმწიფო მართვა-გამგეობის მტკიცე ორგანიზაციის განმტკიცებას და მოწინავე ელემენტთა შეკავშირებული, ერთსულოვანი მოქმედება საერთო მიზნის განახორციელებლად. ბრძოლის ველზე უმთავრესად დინამიკა ბატონობს, მასშია მთავარი ძალა მებრძოლ მხარისა. და, როგორც ასეთი, ბრძოლის ველი მეტად მგრძნობიარეა; ყოველი მოვლენა სახელმწიფოში მეტად რთულ გავლენას ახდენს და თავის დაღს ასვამს. რევოლიუცია, რასაკვირველია, უპირველესად პატრიოტული მოვლენაა. უფლება მოკლებული ხალხი იძენს ამ უფლებას და თავისი თავის მებაირახტრე და ბედის გადამწყვეტი თვითონვე ხდება. ხალხივე გამოდის სამშობლოს ბედიღბალის გადამწყვეტიც. რევოლიუციის გრიგალი ბრძოლის ველზე, როგორც უმთავრესად დინამიკის მატარებელი, უფრო მძლავრად გაინავარდებს, უფრო მეტად გაღრმავდება. განსხვავება ზურგისა და ბრძოლის ველისა იმაშია, რომ ბრძოლის ველი უფრო ერთსულოვანებას ითხოვს, უფრო მეტი, მთელი დინამიკა მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზანშეწონილი უნდა იყვეს. ყოველისფერი გარეშე ამ საერთო მიზნისა, საშიში და დამღუპველია. შინ, ზურგის მხარეს შესაძლოა რყევა, ბრძოლა, შეხლა-შემოხლა ამა თუ იმ ორგანიზაციის გამტკიცებისათვის. ამით რევოლიუციას მაგრერიგად განსაცდელი ასე ადვილად არ მოელის. ბრძოლის ველზე კი სულ მცირედი დეზორგანიზაციაც-კი შეიძლება საშინელ კატასტროფით დამთავრდეს.

აი სწორედ ეს გარემოება მოითხოვს, რომ ზურგის მხარემ რაც კი შეიძლება მსოფლიო ომის შესახებ გარკვეული შეხედულება იქონიოს და შინაგანი უთანხმოება ჯარში არ გადაიტანოს. ყველამ უკვე კარგათ იცის, თუ რა გვარი დამოკიდებულება დამყარდა ერთ დროს დროებით მთავრობასა და მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს შორის პეტროგრადში. მაშინ, როდესაც უკანასკნელმა გარკვეულად დასვა საკითხი და განაცხადა, რუსეთის დემოკრატიას დაპყრობითი მიზანი არ აქვს დასახული და რომ იგი მხოლოდ თავდაცვის ბრძოლას აწარმოებსო, დროებითი მთავრობა კარგა ხანს გაჩუმებული იყო და ამის შესახებ არაფერს ამბობდა. მდგომარეობა თანდათან მწვავდებოდა. თავისთა-

ვად შეიძლებოდა, რომ რევოლიუციონური ძალა კი ორად გაყოფილიყო. ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო დროებით მთავრობას თავისი სიტყვა ეთქვა, სიტყვა შეთანხმებული, მორიგებული. ასეც მოხდა. დროებითი მთავრობამ განიზიარა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს შეხედულება მსოფლიო ომზე და თავისი დასტური დასდო. ეს დიდი ნაბიჯია. თუმცა ამავე დროს ეს ნაბიჯი სავსებით უარის მყოფელია იმ იმპერიალისტურ პოლიტიკისა, რომელსაც ლიბერალური ბურჟუაზია აწარმოებდა. მილიუკოვი, როგორც მთავარი გამომხატველი ამ იდეოლოგიისა, დამარცხებული დარჩა. იგი იძულებულია ხელი აიღოს კონსტანტინოპოლზე და მასთან ერთად მთელ აღმოსავლეთის პოლიტიკაზე.

სახელდობრ თვით აღმოსავლეთ ბრძოლის ველზე ისევე მშვიდობიანობა დამყარდა. სწარმოებს მხოლოდ ჩვეულებრივი მცირე შეტაკება.

X.

# ომის დეპეშები

**მთავარ ბანაკის ცნობა,**

**6 აპრილი**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. გალიციაში, ზბოროვის ჩრდილოეთით, სოფ. ვოლოჩკოვცესთან მარჯვეთ დავუშინეთ ზარბაზნები მტრის არტილერიას. დანარჩენ ბრძოლის ხაზზე სროლა და ფიცხელი ზვერვაა.

**რუმინეთის ასპარეზი.** მდ. დუნაიზე კოტუ-მიკაჩეს აღმოსავლეთით, ბრაილოვის ჩრდილო-დასავლეთით მოპირდაპირის საშმა როტამ იერიში მოიტანა, მაგრამ თოფისა და ზარბაზნების სროლით მოვიგერიეთ. დანარჩენ ბრძოლის ხაზზე სროლა და ზვერვაა.

**კავკასიის ასპარეზზე** სროლა და ზვერვაა.

## საფრანგეთი

**პარიზი.** საღამოს ოფიც. ცნობა. კოსნილეს მთიდან დაწყებული ვანდეზინეკურის აღმოსავლეთის მიდამოებში 11 ვერსის მანძილზე ადგილები ავიღეთ. ვორნილეს მთასთან 3 ვერსის სიგრძეზე მტრის იერიში მოვიგერიეთ და 2,500 კაციც დავატყვევეთ. სუასონსა და რეიმსს შუა მთელ დღეს ზარბაზნებს ვუშენდით მტრის სიმაგრეებს, ზოგ ადგილას დავანგრიეთ კიდეც, სადაც მტერი უფრო გვიძალიანდებოდა. ნაშუადღევის 4 საათზე მტერმა სამაგიერო იერიშები მოიტანა იურტებიზის ფერმის მიდამოებში, მაგრამ სროლით და ხიშტებით მოვიგერიეთ. კურსეს მიდამოებში, რომელსაც რუსის ჯარი იცავს, მტერმა ცხარე იერიშები მიიტანა, მაგრამ მოიგერიეს.

3 აპრილს, სუასონსა და რეიმს შუა ფრანგებმა დაამარცხეს გერმანელები და უკუაგდეს. ბრძოლაში მტრის 19 დივიზიას მიუღია მონაწილეობა. ფრანგებს ტყვედ წამოუყვანიათ 11 ათასი კაცი.

**პარიზი.** დღის ოფიც. ცნობა. სუასონსა და რეიმსის შუა ჩვენი ჯარი დაპყრობილ ადგილებში გამაგრდა. მდ. ენის მიდამოებში გერმანელებმა ძლიერი იერიში მოიტანეს, მაგრამ ზარბაზნების და ტყვიისმფრქვეველების სროლით მოვიგერიეთ.

## ინგლისი

**ლონდონი.** საადმირალო იტყობინება: ინგლისისა და საფრანგეთის მრავალ რიცხოვანი საფრენები 1 აპრილს თავს დაესხნენ ფრეიბურგს და დიდძალი ყუმბარები დაუშინეს. თუმცა მტრის მფრინავებთან ბევრჯელ მოუხდათ შებმა, მაგრამ სამი საფრენის გარდა დანარჩენი საფრენები უვნებლად დაგვიბრუნდა.

## საფრენების დაღუპვა

**ლონდონი.** საღამოს ოფიც. ცნობა. ჩვენი მფრინავები მტრისას შეებნენ და გერმანელების სამი საფრენი იძულებული ჰყვეს ძირს დაშვებულიყვნენ. ჩვენ დაგვაკლდა ხუთი საფრენი.

## ბრძოლა ზღვაზე

**ვაშინგტონი.** გერმანელების წყალქვეშამ, ნიუ-იორკიდან 100 ვერსის მანძილზე ჩრდილოეთით ამერიკის კონტრ-ნაღმოსანს სროლა აუტეხა. ამით დაიწყო წყალქვეშა ნავებით გარემოცვა ამერიკის სანაპიროებისა.

## ამერიკა

**ვაშინგტონი.** სენატმა ერთხმად მიიღო ბილლი, რომლის ძალითაც ომის საჭიროებისათვის მილიარდი დოლარი უნდა გადაიდოს.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

## ჰინდენბურგის განცხადება

ესპანურ გაზეთ „Yanquardia"-ს თანამშრომელთან საუბრის დროს ფელდმარშალ ჰინდენბურგს უთქვამს: ჩრდილო ამერიკის ფინანსიური დახმარება, ეჭვი არა მაქვს, ჩვენს მოწინააღმდეგეთა საქმის წარმატებაა, თუმცა ამ ომის გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ომის საწარმოებლად ფულს უმთავრესი მნიშვნელობა როდი აქვს. შეერთებული შტატები მოკავშირეებს რა სამხარ მასალასაც აწვდიან დღეს, რაოდენობით ვეღარ გადააჭარბებენ.

ამერიკელები ვერ მოახერხებენ ნახევარ მილიონიდან ორ მილიონ მეომრის გამოყვანას. დღევანდლამდე გერმანელების წყალქვეშა ნავებთან ვერაფერი გააწყეს ინგლისმა, საფრანგეთმა, რუსეთმა, იტალიამ და იაპონიამ, დღეის მერეც შეერთებული შტატების ფლოტიც ვერაფერს გახდება მათს წინააღმდეგ.

წყალქვეშა ნავებთან საბრძოლველი ძალა ჩვენს მოპირდაპირეებს არ გააჩნიათ, ჩვენ კი მით უფრო გავახარლებთ წყალქვეშ ბრძოლას, რაც უფრო მეტ გემს გამოუშვებენ მოპირდაპირენი. თუნდაც მოკავშირე სახელმწიფოებმა ოფიცერ-ინსტრუქტორები გზავნონ ამერიკაში ჯარის დასარაზმად, ამერიკულ საექსპედიციო კორპუსის მომზადებას და ევროპის ასპარეზზე გამოგზავნას ერთს წელიწადზე ადრე ვერ მოახერხებენ. მოკავშირე სახელმწიფოთა აზრით ომის ბედი წელს უნდა გადაწყდეს, საამისოდ ჩვენც შესაფერად შევემზადენით.

რუსეთის რევოლიუციის მოლოდინი არა გვქონდა, თუმცა ეს ამბავი გერმანეთის მდგომარეობას ბევრად აუმჯობესებს.

ეხლა ჩვენ და ჩვენი მოკავშირენი მოწყვეტილნი ვართ დანარჩენ ქვეყნიერებას. ჩვენ ნათლად, გულდამშვიდებით ავწონ-დავწონეთ ყოველგვარი მოსალოდნელობა, გავითვალისწინეთ საუკეთესო ცოდნანი ადამიანისა და სინდისისა და ავირჩიეთ გზა, რომელიც მიგვიყვანს გამარჯვებასა და მშვიდობიანობამდე.

ომის დასაწყისში განვაცხადე: ის გაიმარჯვებს, ვისაც უფრო მაგარი ძარღვები აქვს მეთქი. ეხლა უფრო მეტად მრწამს ამ აზრის უტყუარობა. გერმანელების ნერვების სიმაგრეზე დამყარებული ჩემი იმედიანობა, მისივე წყალობით ვდგევარ ჩემს თანამდებობაზე და უშიშრად ველი გადაწყვეტ ბრძოლის შედეგს, მე მრწამს, რომ გერმანელი ხალხი არ მიატოვებს თავის ბელადებს.

## რომანოვთა გვარეულობის ქონება

რომანოვთა გვარეულობას დიდძალი ფული აქვს შენახული ინგლისის ბანკებში. დანამდვილებით არავინ იცის, თუ რამდენია. ამას მუდამ დიდ საიდუმლოებით ჰფარავდნენ, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ნიკოლოზ რომანოვი ევროპაში უმდიდრესი ადამიანი იყო. მას ჰქონდა ფული, ტყეები, ფაბრიკები, ქარხნები, მაღაროები. ეს ქონება საუკუნოებით ჰგროვდებოდა და ეხლა, ტახტიდგან გადადგომისას, რომანოვების ქონება ზღაპრული იყო. მიწები რომანოვს ჰქონდა 42 მილიონი 500 ათასი დესეტინა და საუფლისწულოც 8 მილიონი. ამასთან ეს მიწები საუკეთესოები იყო რუსეთში. მაგრამ ყველა მიწებზე ყველგან არ იყო მუშაობა. ზოგი მიწა იჯარით იყო გაცემული გლეხებზე, ზოგზე მეურნეობა იყო გაჩაღებული, ზოგი კი უსაქმოთ ეგდო. მოიჯარადრე გლეხებისაგან ყოფილი მეფე-მემამულე 12 მილიონს საიჯარო ფულს იღებდა. მემამულეების გარდა, რომანოვები მრეწველობასაც მისდევდნენ. 100 მეტი ფაბრიკა-ქარხანა (შუშისა, ფაიფურისა, ქაღალდებისა და სხვა) და ათას ხუთასი წისქვილი ჰქონდათ. ამას გარდა მათ მაღაროებიც ჰქონდათ, სულ ცოტა 100 მაღარო ექნებოდათ. მაგრამ ეს მაღაროები ნაკლებად მუშაობდა. რომანოვები უფრო განთქმულები იყვნენ ღვინით. რუსეთში ცნობილია საუფლისწულო ღვინო. ღვინით ვაჭრობა რომანოვთა გვარეულობას ყოველ წლივ 20 მილიონ მანეთს აძლევდა. ამოდენა სიმდიდრის მიუხედავად რუსეთის ხალხი ყოველ წლივ სასახლის შესანახად 17 მილიონ მანეთს იხდიდა. ამას გარდა მეფის ოჯახის წევრებს შემდეგი ჯამაგირები ჰქონდათ: დედოფალს 200 ათასი მანეთი, ტახტის მემკვიდრეს—100 ათასი, თითო შვილს 20 ათასი მანეთი. თითქმის ამდენივე ჰქონდა თითო დიდ მთავარს, ქალსა თუ კაცს.

მოვიყვანთ ზოგიერთ ცნობებს საუფლისწულო მამულების ანგარიშებიდან ასი წლის განმავლობაში. ყოველ-წლიური ასიგნოვკები 138.637.000 მანეთს შეადგენს. სასახლეების მოსაწყობად 55 მილიონი, საჩუქრებისათვის 24 მილიონი 200 ათასი. სამოგზაუროდ და სალაშქროდ 7 მილიონ შვიდას სამოცდა ოთხი ათასი. საუფლისწულო უწყების სასახლეებისათვის 10.646.000 მანეთი. ამას გარდა ყირიმისა და კავკასიის საუკეთესო ნაწილები რომანოვთა გვარეულობას ეკუთვნოდა. ალექსანდრე მესამემ მიითვისა ბურგაზის მამულები, რომლებიც რუსის ჯარმა დაიპყრო და სახელმწიფოს ქონება უნდა ყოფილიყო. ალექსანდრე მეორეს 4 მილიონი ყმა ჰყავდა და ბატონ-ყმობა რომ მოსპო და თავის ყმები გაანთავისუფლა ამაში 48 მილიონი მანეთი აიღო. ამ რიგად, თუმცა რუსეთის ხალხი ევროპაში ულარიბესი ხალხი იყო, მაგრამ მისი მეფეები კი უმდიდრესი მეფენი იყვნენ ევროპაში.

## ზავის პირობები

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: „ნორდესკანდეი-ტიდენდე" იტყობინება: კოპენჰაგენში მოხდა გერმანელ და რუს სოციალისტების ყრილობა. გერმანელებმა აღუთქვეს, რომ რაიხსტაგში ქვემოდ მოყვანილ საზავო პირობებს გამოესარჩლებიან: ელზას-ლორენი გერმანეთის ხელში დარჩება. ბელგიას დამოუკიდებლობას დაუბრუნებენ, თუმცა ჯარის ყოლა არ შეეძლება; სერბიელები და ავსტრიელი სლავიანები გაერთიანდებიან და ავსტრიას დაექვემდებარებიან. რუსეთის პოლონეთი დამოუკიდებელ სამეფოდ გამოცხადდება უჯაროდ. რუმინეთს აღადგენენ. დარდანელი ნეიტრალად გამოცხადდება ოსმალეთის პროტექტორატით. სომხეთი ავტონომიას მიიღებს ოსმალეთის პროტექტორატით. ბალტიის მხრის პროვინციები გერმანეთს გადაეცემა. ამ უკანასკნელ მუხლის თაობაზე გერმანელი სოციალისტები მზად არიან მოლაპარაკება განაგრძონ.

ასეთივე ყრილობა სოციალისტებისა მოხდება სტოკჰოლმში.

## ზავის გარშემო

კოპენჰაგენიდან „რ. ს."-ს თანამშრომელი ივ. დნეპროვი იტყობინება: აქ დაჟინებით ამბობენ, ამ დღეებში საიდუმლო თათბირი მოხდა გერმანელ სოციალ-დემოკრატებისა და რუს ემიგრანტების შორისაო. როგორც დანამდვილებით გავიგე, კოპენჰაგენში მართლაც მოსულა გერმანელ სოციალ-დემოკრატების ბელადი შეიდემანი, რომელიც სტოკჰოლმში გამგზავრებულა. სჩანს მოლაპარაკება დანიაში აღარ მოხდება, რადგანაც რუსი ემიგრანტები დანიიდან უკვე გავიდნენ.

## საფრანგეთის სოციალისტები მუშათა საბჭოების შესახებ

რუსეთიდან მოსული ამბები შესახებ მუშათა და სალდათების საბჭოთა მოღვაწეობის შესახებ, საფრანგეთის საზოგადოებას მეტად აფიქრებს. ცნობილი სოციალისტი ერვე თავის გაზეთში გამოსთქვამს აზრს, რომ უკიდურესი პოლიტიკა ღუპავს რუსეთის რევოლიუციას. მუშათა საბჭოების ინტერნაციონალური და პაციფისტური მოღვაწეობა შტიურმერის აღმაშფოთებელ პოლიტიკის განგრძობაა და მეტად აღელვებს რუსეთის მოკავშირეებსო. საფრანგეთის საზოგადოების და პრესის სურვილია, რომ რუსეთის დროებითი მთავრობა ძლიერი იყოს და მოისპოს ანარხისტული მისწრაფებები.

# ახალი ამბავი

◆ **სტუდენტების კრება.** 5 აპრილს ქართულ ახალი ბანკის შენობაში მოხდა ქართველ სტუდენტების კრება. კრების საგანი იყო საქართველოში მყოფ ქართველ სტუდენტების, განურჩევლად სქესისა, კონფერენციის მოხდენა. კრებამ დაადგინა ასეთი კონფერენცია მალე მოეწყოს. კონფერენციას აზრად ექნება გარჩევა საქართველოს პოლიტიკურ საკითხებისა და შემუშავება სტუდენტების ფორმისა. კრებამ აირჩია საორგანიზაციო კომისია, რომელშიაც შევიდა ორ-ორი კაცი თვითეულ პარტიიდან და დაავალა კონფერენციის მოწვევის წესის გამომუშავება.

◆ **ვალ. გუნიას იუბილე,** უკანასკნელ დადგენილების თანახმად, გადახდილ იქნება 29 აპრილს სახელმწიფო თეატრში. დღესასწაული გაიმართება როგორც დილით, აგრეთვე საღამოთი. დაწვრილებითი პროგრამა საიუბილეო დღესასწაულისა ცალკე გამოცხადდება.

◆ **დატუსაღებულ პოლიციის მოხელეთა** განთავისუფლება ქალაქის აღმასრულებელმა კომიტეტმა მიანდო საგამომძიებლო და იურიდიულ კომისიას, მაგრამ იმ პირობით, რომ განთავისუფლებულმა პოლიციელებმა სამი დღის განმავლობაში დასტოვონ თბილისი და თავიანთ სამშობლოში გადასახლდნენ.

◆ **მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტში.** 5 აპრილს, ჩ. ე. ბაქსკას თავმჯდომარეობით, მოხდა კომიტეტის წევრთა კრება. განხილულ იქმნა 12 წევრის მიერ ხელმოწერილი განცხადება, რომ კომიტეტის თავმჯდომარეს კომიტეტისავე წევრები ირჩევდნენო. კრებამ ერთხმად დაადგინა, რომ როგორც თავმჯდომარეს, აგრეთვე მის მოადგილეს კომიტეტის წევრები ირჩევდნენ, რაც შეეხება პრეზიდიუმის დანარჩენ წევრებს (მდივანი და მისი თანაშემწე), ამათ შესახებ კომიტეტმა მსჯელობა იქონიოს თავმჯდომარის არჩევის შემდეგ. თავმჯდომარეს კომიტეტი ირჩევს თავის წევრთა შორის, მაგრამ თუ საჭიროდ სცნობს, გარეშე კაციც შეუძლიან მიიწვიოს. დადგენილება კომიტეტისა საგანგებო კომისიამ უნდა მოახსენოს დროებითი მთავრობის წარმომადგენელთ და როცა ეს უკანასკნელი კომიტეტის გადაწყვეტილებას დაადასტურებს, ამის შემდეგ კომიტეტი აირჩევს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს. კომისიაში არჩეულ იქმნენ: ვ. რცხილაძე, ს. ხუნდაძე, ა. ეგოროვი და გ. ალიბეგოვი. ამავე კომისიას დაევალა კომიტეტის სახელით მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნოს მინისტრ შინგარიოვს რუსეთის წეს-წყობილების შეცვლის გამო.

◆ **თბილისის მილიციის უფროსები.** უფროსი კომისარი თბილისისა კოგანი, მისი თანაშემწენი—კაჩუხოვი და ოგანიანი. პირველი უბნის კომისარი სურ. თემურაზოვი, მისი თანაშემწე ალ. ბაქრაძე; მეორე უბნისა ი. ლასხიშვილი, მისი თანაშემწენი პოდპორუჩიკი მაღალაშვილი და ა. ლეჟავა; მესამესი—ვ. აგარონიანი, მისი თანაშემწენი არ. ბეკზადიანი და გ. არაქელიანი; მეოთხესი—ს. ყარაბეგოვი, მისი თანაშემწე ე. ასათიანი; მეხუთესი ბაგატურ ბეგ იუსუფბეგი, მისი თანაშემწე მ. მოსესოვი; მეექვსეში ალ. მაჭარაშვილი, მისი თანაშემწე პრაპორშჩიკი პალატნიკოვი; მეშვიდეში—არამ მელიქ-ტანგიევი, მისი თანაშემწე ნერსესოვი; მერვეში ი. ნასიძე, მისი თანაშემწე მ. ტატიშვილი; მეცხრეში—ალ. კანდელაკი, მისი თანაშემწენი ე. ჯაჯანაშვილი და ვ. იგნატიევი; მეათეში—ა. ტატიშვილი, მისი თანაშემწენი მ. აირაპეტოვი და კ. კანდელაკი; მეთერთმეტეში—ოგანჯანოვი, მისი თანაშემწე ა. ზულგინი; მეთორმეტეში ე. იმნაიშვილი.

◆ **საკითხი სახელმწიფო თეატრის შესახებ.** ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თაოსნობით, ამ დღეებში თათბირი მოხდა, რომელზედაც მიწვეული იყვნენ ადგილობრივ დრამატიულ საზოგადოებათა (სომხეთა და მუსულმანთა) წარმომადგენელნი. კრებამ რეზოლუცია გამოიტანა: შესდგეს სათეატრო კომისარიატი, რომელსაც უნდა გადაეცეს სახელმწიფო თეატრი საერთო სარგებლობისათვის. ეს დადგენილება წარუდგინეს დროებითი მთავრობის კომისარს პაპაჯანოვს, რომელსაც დავალებული აქვს მოხსენების შემუშავება სახელმწიფო თეატრის შესახებ.

◆ **თბილისის მაზრის კომისარმა** ნაფ. ვექილმა ი. ბარათაშვილმა სამსახურს თავი დაანება. მის ადგილზე დანიშნეს ნაფ. ვექ. ვ. თუმანიშვილი.

◆ **ავტონომისტ სოც.-დემოკრატების** ქართული გაზეთი გამოვა 9 აპრილიდან,

◆ **თბილისის მოქალაქეთა გამგეობის** 1 დელეგატი იქმნა მიღებული წევრად ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში.

◆ **დუშეთის სამაზრო კომისარი** ნაფიცი ვექილი დ. ჭიაბრიშვილი თანამდებობისაგან გადააყენეს. მის მაგიერ დანიშნეს ზაქ. ჯაჯახიშვილი.

◆ **თბილისის ჯარის კაცთა დეპუტატების** საბჭოს საზოგადო კრებაზე 4 აპრილს დაადგინეს: რადგან აუცილებელია მთელი ოფიცრების შეკავშირება და შეერთება რევოლიუციონურ ჯარში ნაყოფიერ მოქმედებისთვის, მოკლე ხანში მოწვეულ იქნეს ოფიცერთა ყრილობა, რათა შემუშავდეს გეგმა მოქალაქე ოფიცერთა ორგანიზაციის შესაქმნელად.

◆ **ქალაქის გამგეობამ** გადასწყვიტა, 100 ათასი მანეთი გადასცეს ქალაქის სასურსათო კომიტეტს საწარმოვო თანხად.

◆ **ქალაქის აღმასრულებელმა კომიტეტმა** მიწერილობა დაუგზავნა სამაზრო კომიტეტებს და ქალაქების გამგეობათ, რომ სამუშაოზე გამოიყენონ ტყვე მხედრები.

◆ **ამიერ კავკასიის კომიტეტმა** დეპეშით აცნობა აღმასრულებელ კომიტეტებს, რომ, თანახმად იუსტიციის მინისტრის განკარგულებისა, კომიტეტებს ნება არ აქვსთ თანამდებობიდან გადააყენონ, ანუ შეეხონ სამოსამართლო დაწესებულებათა მოხელეებს. თუ საჭიროება მოითხოვს, აღმასრულებელმა კომიტეტებმა მხოლოდ ცნობები უნდა მიაწოდონ ამიერ კავკასიის კომიტეტს ამა თუ იმ მოხელის უკანონო მოქმედების შესახებ.

# ძვირფას მასწავლებლის ხსოვნას

6 აპრილს მიწას მიაბარეს თბილისის სასულიერო სასწავლებლის ქართულ ენის მასწავლებელი შიო ისაკის ძე შიუკაშვილი.

ვინ იყო შიო?

ამ სახელის გახსენებაზე, უეჭველია, ბევრს ახალგაზრდას აუტოკდება გული, ეს იმ ახალგაზრდას, ვისაც ბედმა და გარემოებამ მას მადლიან ხელში [illegible] მოწაფეობა.

შიო პირადად ჩემი მასწავლებელიც იყო. გორში ვსწავლობდი. 1906—1903 წლამდე მისი ტკბილი ახსნანი და გატაცებული მოთხრობანი ჩვენისვე ერის სვებედის შესახებ უნებურად მაყვარებდა სამშობლოს აკვანს, ნაზად ჰფურჩნიდა იმ მშვენებას, ურომლისოდაც ადამიანი პირუტყვობამდის ჩამოდის. თუ ადამიანი ხარ, თუ კაცი გქვიან, უნდა ცნობდე მშობელს, გიყვარდეს ერი შენი უმაღლეს შენი თავისა,—აი რას გვასწავლიდა შიო, რა აზრებს გვინერგავდა ჯერ კიდევ ნორჩს, დაუბუმბლავს ბავშვებს. თვალწინ მიდგია მისი მუდამ დაღვრემილი, სამშობლოს ბორკილების გამო დასევდიანებული სახე, რომელიც ჩვენში, ახალგაზრდობაში აყვავილებდა იმედს.

რა იყო, რა ასევდიანებდა შიოს? რატომ გასტეხოდა ასე გული?

მისი ბიოგრაფია მოგვცემს პასუხს.

იგი დაიბადა 1861 წ. ჩვენს ეროვნულს აკადემიობას იმ დროს სასულიერო სასწავლებელი და სემინარია ასრულებდა. პატარა შიომ სახელოვნად გაათავა სემინარია 77 წელში და გაგზავნილ იქმნა აკადემიაში. მისი ამხანაგობა და ჩვენი საზოგადოება დიდად აფასებდა მას. მასში ჰხედავდნენ ახალ იდეების მოძღვარს. საზოგადოების წახალისებით იგი გაემგზავრა გერმანეთში და ფილოსოფიის შესწავლას მიჰყო ხელი.

სამშობლოში დაბრუნებისას მის წინ დიადი ასპარეზი იყო გარდაშლილი. მან მიაშურა სასულიერო სასწავლებელს ახალთაობის აღსაზრდელად. ამ ასპარეზზე მან ბევრი რამ ნახა, ბევრი გაჭირვება განიცადა. ხან უფროსი, ხან გამგე სასწავლებლისა, ხან უბრალო მასწავლებელი, ერთი სასწავლებლიდან მეორეში გადაყვანა, დასჯა სასტიკი ინსპექციისაგან და წარმატება,—აი რა ეკლიან გზაზე ვვიდოდა შიო, როდესაც ყოველის ქართველის ქართველობა ბორკილებით იხუთებოდა.

არის ერთი რამ საოცარი მოვლენა მის ცხოვრებაში. ეს გახლავთ ის, რომ იგი სამწერლო ასპარეზზე არ გამოსულა. ფრიად განსწავლული, საუცხოვო პედაგოგი, ამავე დროს ფრთხილი დარაჯი ჩვენი სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა, იგი არასფერს მონაწილეობას არ იღებდა, პასიურად მისდევდა ყოველივე ფერს. პირადად გამოლაპარაკების დროს ყველას გვარწმუნებდა, რომ ხელნაწერები მაქვსო. რამდენადაც ვიცი, მას უფრო ფილოსოფიურს დარგებიდან უნდა ჰქონდეს ნაწერები. მისი საუბრის კილო ჰმოწმობდა, რომ „ეთიკა", „ფსიხოლოგია" და „ლოღიკა" დამთავრებული უნდა ჰქონდეს. ამ სახელმძღვანელოების სიმშილის დროს, თუ კი მართალია ეს, მისი ნაწერები დიდს სამსახურს გაუწევენ ჩვენს ახალგაზრდობას, მით უმეტეს, შიო კარგი მასწავლებელი იყო და მეტად ფრთხილი ტერმინოლოგიის შემმუშავებელი.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი ძვირფასო მასწავლებელო, შენი ნათესი არ დაიკარგება: შენგან დაფრენილი ახალგაზრდობა შენს დიადს აზრებს უხვადა ჰფენენ შენს ქვეყანასა, რომლის სიყვარული თან წაიღე შავსმნელს საფლავში.

დ. კახრაძე.

# ღია წერილი

**გაზ. „ერთობას"**

თქვენს პატივცემულ გაზეთის მეთოთხმეტე ნომერში მოყვანილი იყო ცნობა, რომ „ამ სამი კვირის წინეთ ს.-ფედერალისტებმა და ნაციონალ-დემოკრატებმა მოუწოდეს ქართველ ჯარისკაცთ და ოფიცრებს დაეარსებიათ ცალკე სამხედრო ორგანიზაცია. თავისთავად ცხადი იყო, რომ ნაციონალისტების ასეთ ნაბიჯს რევოლიუციონურ ჯარში დეზორგანიზაცია შეჰქონდა, რეაქციას აძლიერებდაო და სხვა".

პირველ ყოვლისა სამხედრო კავშირი გამოსთქვამს თავის აღშფოთებას ეგეთ ცილისწამებისათვის, ვინაიდან კავშირის დაარსებაში არავითარი წილი არ უდევს არავითარ პარტიას. კავშირი დგას ყოველივე პარტიის გარეშე, თუმცა წევრებს შეუძლიათ, როგორც მოქალაქეს, იყოს წევრი რომელიმე პარტიისა, მაგრამ არც ერთ წევრს არ აქვს უფლება კავშირის მოქმედება დაუქვემდებაროს რომელიმე პარტიას.

კავშირის მიზანს შეადგენს შემოიკრიბოს გარშემო ქართველი მხედრობა, შეიტანოს მასში ღრმა შეგნება თანამედროვე მომენტისა და გაუთვალისწინოს მათ მომავალი მოვლენანი, გაალრმაოს ავტორიტეტი ახალი მთავრობისა, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს დამფუძნებელ კრების საშუალებით დემოკრატიულ რესპუბლიკამდის, რომლის დასაცავად და დასამყარებლად კავშირი არ დაზოგავს არავითარ საშუალებას.

ამას გარდა კავშირი ცდილობს მიაწოდოს ქართველ მხედრობას ჟურნალ-გაზეთები და წიგნები, შეასწავლოს მათ წერა-კითხვა რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება და მისცეს მათ იურიდიული დახმარება საჭიროებისამებრ.

როგორც ხედავთ, ჩვენს მოქმედებაში არაფერი არის არც რეაქციონური და არც კონტრ-რევოლიუციონური, არამედ ვაკეთებთ იმას, რასაც თქვენ საერთოდ.

თუ თქვენ გაშინებთ, რომ ჩვენს პროგრამაში არის ავტონომიის მოთხოვნა, ამაში კავშირი ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ ხედავს, ვინაიდგან ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დემოკრატიულ რესპუბლიკური რუსეთი თავისთავად გულისხმობს არა-რუს ერთა ავტონომიურად მოწყობას და მაშასადამე ჩვენ ისეთივე უფლება გვაქვს გამოვესარჩლოთ და დავიცვათ ავტონომია, როგორც რესპუბლიკა. მივიღებთ რა მხედველობაში ყველა ზემოდ ჩამოთვლილ მოსაზრებებს, კავშირი დარწმუნებულია, რომ თქვენი და ჩვენი მოქმედება არაფრით განსხვავდება, რადგანაც როგორც თქვენ, ისე ჩვენ, ვაკეთებთ ერთ და იმავე საქმეს.

მიუხედავად ამისა, თქვენ უკვე გამოგვაცხადეთ რეაქციონერებად და რევოლიუციის მოღალატედ რაც **არა კეთილშობილურ მოქმედებათ** მიგვაჩნია ქართველ მხედართა კავშირს თქვენის მხრით.

ამისათვის კავშირი მოგმართავთ თქვენ როგორც **მოქალაქეებს** და **ჯენტლმენებს** და გთხოვთ ნუ მოგვახვევთ თავზედ ცილს და ხელი-ხელ ჩაკიდებული გავსწიოთ საერთო საქმის გასაკეთებლად, თორემ თუ თქვენ კიდევ განაგრძეთ ქართველ და არა ქართველ ჯარის კაცებში დაბეზღება და ცილისწამება, წინდაუხედავად და უდიერად მოეპყარით იმ ადამიანებს, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ თავი დასდონ იმ საქმისათვის რასაც თქვენც ემსახურებით, მაშინ რასაკვირველია უფლება გვექნება იმ ზომებით მოგმართოთ, რითაც თქვენ სარგებლობთ, რაც აუცილებლად ძალთა შეერთების მაგივრად გამოიწვევს ძალთა გათიშვას, რომელიც აუცილებლად ავნებს საერთო საქმეს.

პატივისცემით ქართველ მხედართა

**კავშირი.**

# რუსეთის ცხოვრება

რუსეთის პოლიტიკური ვითარების დაფასებაში აზრთა სხვა და სხვაობამ იჩინა თავი იმ მიმართულებათა შორის, რომელნიც აქამდე რევოლიუციას ერთად ჰქმნიდენ. სოციალ-დემოკრატიული „პრავდა" სწერს: „ბურჟუაზიული პრესა მოუწოდებს ყველას დროებით მთავრობის გარშემო შემოიკრიბნენ და მას დაუჭირონ მხარი. საჭიროა შინაური განხეთქილებათა და უთანხმოებათა მოსპობა. მაგრამ... სადაა ეს თანხმობა? დღითი დღე შეერთების ნაცვლად გათიშვა ხდება, ერთმანეთისგან დაშორება"...

ამის შესახებ „რაბ. გაზ." ურთობს ახალს განმარტებას: „არ უნდა მოვიტყუოთ თავი, ვითომც ყოველისფერი ადვილად მოგვეცემა. გვაფიქრდება, რომ ყველა ის, რაც მოგვეცა, ერთს მშვენიერს დღეს შესაძლებელია ხელიდან გამოგვეცალოს ძლიერი ქარიშხალისგან, რომელიც მოსალოდნელია ომის შემდგომ, ვინაიდან ეკონომიურ განვითარების კანონი უფრო მძვინვარეა, ვიდრე ვისიმე ნებისყოფა"...

ამავე გაზეთში ვკითხულობთ თუ ბოლშევიკებს (მეუმრავლესე სოციალ-დემოკრატებს) როგორი „პოლიტიკური ხულიგანობა" ჩაუდენიათ პეტროგრადში მრავალრიცხოვან მიტინგზე: „მუშებს მოუწოდებენ ყუმბარები მზად ჰქონდესთ დამფუძნებელ კრების ასაფეთქებლად. „დროებითი მთავრობა თქვენი ჯალათებია,—ეუბნებოდნენ მუშებს,—ძირს მისი ბატონობა!.. მეც-

ეროვნული

ნიერებამ უკვე დაამტკიცა, რომ საკმარისია 4 საათის სამუშაო დღე. გლეხებს კიდევ აღარ სცალიანთ დამფუძნებელს კრებას მოუცადონ. მათ ეხლავე უნდა ხელი მიჰყონ მემამულეების მიწების ჩამორთმევას. მუშებო, აბა ხელთ იგდეთ ქარხნები თქვენს სასარგებლოდაო".

რუსეთის საუკეთესო მოაზრენი ანარქიის შიშს მოუცვია. ყველას აფიქრებს ის გარემოება, რომ გლეხები მისდგომიან ტყეების ჩეხვას. „ზემლია ივოლია"-ში, მაგალითად, აწერილია თუ პორხოვის მაზრაში გლეხობა არ დაკმაყოფილებულა ტყეების ჩეხვას და „დაუწყვიათ მამულების გადაწვა და ძარცვა-გლეჯა. სტარაია რუსიდან და პორხოვიდან ჯარები გაიწვიეს უწესოების ჩასაქრობად. სოფლიდან სოფელს მოედვნენ მძარცველთა ბრბო ჯარისკაცის ტანისამოსში გამოწყობილ ბელადების ხელმძღვანელობით. ამათ თავიანთ თავი გამოუცხადებიათ დროებით მთავრობის წარმომადგენლებად. იღებენ ფულს ერთი სიტყვით, ყოველ გვარს შემოწირულებას, თანაც ხელმოწერილს ბარათებს აძლევენ კვიტანციებათაო".

ასეთს მოვლენის შესახებ ცნობილ პუბლიცისტ ე. ნ. ტრუბეცკოის კადეტთა კრებაზე განუცხადებია, ამ მიწის თაობაზე მომხდარი ანარქიით რუსეთს დაღუპვა მოელისო. „ამ სამწუხარო ანარქიამ მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა. ყველა ამიდგან მეტად საზარელ შედეგს უნდა ველოდეთ: მემამულეები თავს გაანებებენ მამულების დამუშავებას, შიმშილი დასცემს რუსეთსაო", დასძენს ტურბეცკოი.

მასალოდნელ შიმშილობას შეუფიქრიანებია „ნოვ. ვრემია": შეიძლება თამამად ითქვას, რომ 2—3 კვირეში გადასწყდება მთელი რუსეთის ბედიღბალი. ვიყოთ თუ არა თავისუფალ დემოკრატიულს სახელმწიფოში თუ დავიღუპოთ სამოქალაქო ომის ქარცეცხლში და ერთ ურთის ხოცვა-ჟლეტაში. ყველაფერი დამოკიდებულია მისგან, თუ რამდენად გვექნება დათესილი მინდვრები. ამ ნერვიულს მდგომარეობაში საკმარისია შიმშილობამ წამოჰყოს თავი, რომ მთელი რუსეთი პანიკამ მოიცვას. ანარქია აუცილებელია, ძმა-ძმაზე აღმართავს მახვილს. ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ შველას აღარსად უნდა ველოდეთ. თუნდაც ომი 1917 წელში გათავდეს, რუსეთი ვერსად ვერ იშოვნის საკმაო პურს, ვინაიდან ქვეყანა გამოიფიტა, საშოვნელი აღარსად არის. ყველას თავისთვის გასჭირვებია. მაშასადამე, რუსეთი თავისათვის ანაბარადაა დარჩენილი. გაზეთი ერთხელ კიდევ მოუწოდებს მცხოვრებთ მიწები მეტი მოხნან და მოსთესონ, რომ ქვეყანას გასაცდელი ააცილონ...

## თვით-მპყრობელობის ნანგრევებზე

(ხმა მოსკოვიდან წერ. II *)

წინა წერილში, სხვა მიზეზთა შორის, რუსეთის რევოლიუციის არაჩვეულებრივ სისწრაფის მიზეზად დასახელებული გვქონდა ისეთი არა-ჩვეულებრივი მოვლენანი და პირადობანი, როგორნიც, მაგალითად, არიან: სპეკულიანტთადმი აშკარა მფარველობა მეფის მიერ, აშკარა სიმპატიები გერმანელთადმი (ალ. თეოდ. ას.), რასპუტინი, პროტოპოპოვი და სუხომლინოვი. ამ უკანასკნელისკენ მინდა მივაპყრო მკითხველის ყურადღება.

გენერალი სუხომლინოვი—აღზრდილი ხელ-მოკლეობაში, თითქმის სიღარიბეში, ახალგაზრდობიდანვე განთქმული იყო იმ სფეროში, რომელშიაც მას არაფერი საერთო არა ჰქონია შემდეგში: იგი იყო საუცხოვო მხატვარი და ხუროთმოძღვარი. ამასთანავე არ გაურბოდა ლიტერატურასა, იცოდა ენები და სწერდა ლექსებსა და მოთხრობებს. ერთ დროს მასწავლებლობდა კერძოდ, შემდეგ გენერალურ შტაბის აკადემიაშიც კი. თანამშრომლობდა სამხედრო ჟურნალ—„Развѣдчикъ"-ში, დაბეჭდა ბროშურა—„О Мюратѣ" და სხვ. მაგრამ ყველა ეს ვერ აკმაყოფილებდა მისს დაუდეგარ ფსიხიკასა. მხატვრობა-მწერლობაზე ხელი აიღო. მეცნიერის კარიერა არ ეჭაშნიკა და როდესაც ჯერი სამაგისტრო დისერტაციაზე მიდგა—აქაც ცივი და მშვიდი „უარი" განაცხადა.

ახოვანი, მჭევრმეტყველი და ენამოსწრებული ოფიცერი სუხომლინოვი სწრაფად და მარჯვედ ადის სამხედრო კარიერის უმაღლეს საფეხურამდე. სუხომლინოვის ასეთ დაწინაურებაში დიდი როლი მიუძღვის ღენ. დრაგომიროვს, რომლის მოწაფედ იყო სუხომლინოვი, აკადემიაში ყოფნის ჟამსა. პირველი ნიშნავს მეორეს შტაბის უფროსად კიევში. ბუნებით ლოთი, მუდამ არაყით გაჟღენთილი, დრაგომიროვი მალე ჰკარგავს გავლენასა, მას ეცლება ნიადაგი, მაგრამ სამაგიეროდ არა სთვლემს და მის ადგილს *) იკავებს მუდამ ფხიზელი, ენა-ტკბილი სუხომლინოვი. მალე იწყება რუსეთ-იაპონიის კამპანია, მას წინადადება ეძლევა—„უმაღლესად" — ომში მონაწილეობა მიიღოს, მაგრამ გრძნობს რა შინაურ ბუქის მოახლოვებას, და მაშასადამე ომის წარმოების უაზრობასა, შორეულ აღმოსავლეთში წასვლას ადვილად თავს აღწევს—„ავად-მყოფობისა გამო"... კიევში ყოფნის დროსვე ირკვევა მისი ერთი „ცოდვათაგანი"—ფულის გაფლანგვა, „წითელი ჯვრის" საკუთრებათა მითვისება და სხ.

მაგრამ ეს მხოლოდ შესავალია მის სამარცხვინო ბიოგრაფიაში. ბრალდებებს ამ მხრივ იგი ადვილად ჰფანტავს საქმეში „გავლენიანთა" ჩარევით.

მარჯვე ინტრიგებისა და ჭორების საშუალებით იგი ძირიანად არყევს კიევის გენ. გუბერნატორის კლეიგელსის პრესტიჟსა, რათა მმართველობის აღვირი თვით იგდოს ხელთა, რასაც ადვილად მიაღწევს. კიევის გუბერნიის მმართველი სუხომლინოვი პირდაპირ იმორჩილებს ყველას... თვისის ორპოფულის ტაქტიკით. პროგრესისტებსა და თავისუფლება-განახლების მოტრფიალეთ—ის ოქროს კოშკებსა ჰპირდება, მეფის ერთგულთ კი თავ-განწირვასა და ტახტისადმი უსაზღვრო სიყვარულსა. ამასთანავე—„საზოგადოებრივს" „საერთოს" იგი მოხერხებულად უქვემდებარებს—„პირადს", „ოჯახურს"... და აი ასეთი კაცი იპყრობს საერთო ყურადღებასა. ზოგიერთა წარმოდგენით იგი „მემარცხენეა", „კრამოლნიკი", ზოგთა კი ტახტის ერთგული, „ღირსოვანი ღენერალი" და სხვ. იმარჯვებენ მეორენი და სუხომლინოვიც სამხედრო მინისტრად ჰხდება, და გერმანელთა კაჟივით მტკიცე ჯარს იგი თითქმის უიარაღო და უპატრონო რუსის მეომართ წაუყენებს წინ. ვიცით მისი „პატიოსანი" სიტყვა 1915 წელს „სახ. სათათბიროში "რიხიანად წარმოთქმული იმის შესახებ, რომ—„ყუმბარა-წამლები ბლომად მზადდება ჩვენს ქარხნებში და რკინის წვიმას დაუყრით მტერს ახლო მომავალში". ეს იყო თებერვლის დამდეგს. ხოლო გვახსოვს-კი ისიც, რომ ამავე წლის ივნისში ზედიზედ ხელიდან ეცლება უწყო რუსეთს: ჯერ ლვოვი, შემდეგ პერემიშლი და სხა.

დასასრულ ყოვლისა ასეთი ადამიანი კვლავ იპყრობს ტახტის მფლობელთა სიმპატიებს და თავს აღწევს სამართალს, რომელშიაც მიცემული იყო მოღალატეობისთვის. იქნებ მადლობელნი უნდა ვიყვნეთ მისი და სხვათა მის გვართა, რადგანაც მათ დააჩქარეს გიგანტიური პოლიტიკური კატასტროფის მოახლოვება, მათ გააბრაზეს ოდესღაც ტახტის ერთგულნიც-კი და საბოლოოდ ძირს დასცეს რუსეთის უთავო მეფე, რომელსაც 25 მარტს მოსკოვის „წითელ მოედანზე" და „კრემლში" შეკრებილმა უთვალავმა რუსისავე ხალხმა და ჯარმა ასეთი მსჯავრი დასდო: **ნიკოლოზ მეორეს თავი უნდა მოეკვეთოსო"**. კმარა სილაჩრე, მოთმინება, დროა მოქმედებისა...

 შ. ბერიძე.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „საქართველო" № 62.

*) კიევის სამხედრო ოლქის უფროსისას (1903).

## მოწოდება

28 მარტს ჩვენი დიდებული და ნაჭირნახულევის აწ განსვენებულის აკაკი წერეთლის მეზობლებს, სოფელ სხვიტორში, საჩხერის საზოგადოების მცხოვრებლებს, ათს გლეხს კირვალიძეებს დიდი უბედურება დაატყდათ. ამ ათი ოჯახის ქონება რამდენიმე საათის განმავლობაში ჩანთქა უცაბედათ გაჩენილმა ცეცხლმა. ზარალი აღემატება ოცი ათას მანეთს. ამ სიძვირეში უსახლ-კაროთ და ულუკმაპუროთ დარჩნენ რამდენიმე ათეული კაცი და ქალი, მოხუცი და ახალგაზრდა. დახმარებაა საჭირო, რომ დაზარალებულებმა აღადგინონ გადამწვარი სახლ-კარი, რათა ბოგანოებათ არ გადაიქცნენ.

შეწირულების შეკრება და მისი განაწილება გადამწვართა შორის თავს იდვა საჩხერის აღმასრულებელმა კომიტეტმა. ღრმად დარწმუნებულნი, რომ ჩვენი ხალხი ქართველები და ჩვენი თანა მოჭირნახულე მეზობლები—სომხები, თათრები, ებრაელები, ოსები და სხვები ყოველთვის მზათ იყვნენ და არიან თავიანთი წვლილი შეეწირათ და შესწირონ ყოველს კეთილს საქმეს, მოვმართავთ ყველას კერძო პირთ—განურჩევლად ეროვნებისა, საქველმოქმედო დაწესებულებებს, ბანკებს, კოოპერატივებს, წვრილ საკრედიტო ამხანაგობებს და სხვა და სხვა დაწესებულებებს თხოვნით, რომ გადამწვრებს აღმოუჩინოთ დახმარება ფულის შემოწირვით.

შემოწირებულება უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: დაბა საჩხერე შორაპნის მაზრა, საჩხერის აღმასრულებელ კომიტეტის სახელობაზედ.

შემომწირველთა სია დრო გამოშვებით გამოცხადებული იქნება ადგილობრივ გაზეთებში და შემომწირველთ დაეგზავნებათ ბარათები ფულის მიღებისა.

გთხოვთ სხვა გაზეთებს ეს მოწოდება გადაბეჭდონ.

თავმჯდომარე საჩხერის აღმასრულებელი კომიტეტისა პეტრე წერეთელი, კომისარი საჩხერის რაიონისა და წევრი კომიტეტისა მსაჯული.

მ. ნიკურაძე.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი**


ექიმი

**ივანე თიკანაძე**

**დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.**

მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.

ტელეფონი № 11—82.

**გოლოვინის პრ. და ხამბლიშვილის ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა**

**ახალი აფთიაქი**

**პროვიზორის ახვლედიანისა**

ექიმი

**გ. ი. მაჩნაძე**

**იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ზუბალოვის ქ. № 4.** (ო.—202—)

ექიმი

**გ. ფ. მგალობლიშვილი**

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი:** ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

**კალანდარიშვილი**

**უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.**

**ბავშვთა, შინაგან და ქალთა შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.**

ექიმი

**გ. დ. წინამძღვრიშვილი**

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი

**ე. ლ. შალამბერიძე**

იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი:** პეტროგრადის ქუჩა № 7.


**ამიერ-კავკასიის რკ. გზის**

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.43 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 3,20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.18 | საღ. |
| თელავისაკენ | | № 4, | 8 „ 58 „ | დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.48 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 | საღ. |
| თელავიდან | | № 3, | 6.24 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ. |


**საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის გაზეთი**

**„ხალხის ერთობა"**

**ივანე გომართლის მუდმივი მონაწილეობით და პარტიულ მუშათა თანამშრომლობით.**

გაზეთი ჯერ-ჯერობით გამოვა კვირაში ორჯელ ორშაბათობით და ხუთშაბათობით.

გაზეთის მთავარი მიზანია ავტონომისტების გაერთიანება და ტერიტორიალურ ავტონომიის პოპულიარიზაცია ხალხში.

ფასი: წლის დამლევამდე სამი მანეთი. თითო ნომერი შაური.

ხელის მოწერა მიიღება: „თეატრი და ცხოვრების" რედაქციაში, „შორაპნის" სტამბის კანტორაში, მადათოვის კუნძული № 1.

მისამართი: Тифлисъ, Ред. газ. „Халхисъ Эртоба" I. Имедашвили.

რედაქტორ-გამომცემელი ი. იმედაშვილი.

(2—638—1)

**მიიღება ხელის მოწერა**

**სანდრო შანშიაშვილის თხზულებაზე**

**26 წიგნი**

**გამოვა შემდეგის სერიით:**

**ლექსები.**

1. ცხოვრების გზაზე,
2. ტრფობის ნაშთი,
3. ხევდა მამულისადმი,
4. ბალი ხევდისა,
5. საგალობელნი,
6. წიგნი სიმღერებისა,
7. სულამიტ,სამიჯნურო ჰანგები
8. საბავშვო იგავ-არაკები.

**ლირიკული პოემები.**

9. იდუმალი ხმები,
10. ოცნების მხარეს,
11. ლანდები,
12. ორფეუს და ევრიდიკე,
13. იდუმალობის წინაშე,
14. ამირანი.

**ეპიკურ-რომანტიული პოემა.**

15. მედია და მშვენიერი ელენე,

**დრამატიული პოემები.**

16. ქალი გრძნეული,
17. მეფე მგოსანი,
18. ბერდო ზმანია,
19. ივერიკო,
20. შვების თავადი,
21. უგვირგვინო მეფენი,
22. ბედი მგოსნისა.

**თარგმნები.**

23. ფაუსტ გიოტესი,
24. დონ-კარლოს შილლერისა,
25. კეისარ იმპერატორი კონ—ხა
26. უცხო ლირიკა.

**ხელის მომწერისთვის ყველა წიგნები ღირს 15 მანეთად.**

ფულის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად. პირველად 5 მან.,—მიიღებთ ათს წიგნს; მეორედ 5 მან.,—მიიღებთ კიდევ ათს წიგნს და მესამედ 5 მან. დანარჩენ წიგნებისათვის.

ვინც ოცს ხელისმომწერს იშოვნის, ყველა წიგნები უფასოდ დაეთმობა. ბიბლიოთეკებს ყველა წიგნები თუმნად დაეთმობათ.

**მთავარი მისამართები თბილისში:** წ.-კითხვის საზოგადოება, სასახლის ქუჩა—ვასილ ედილაშვილი; მოსკოვის ქუჩა № 4 „საქართველოს" რედაქცია; ნიკოლოზის ქუჩა № 7—სანდრო შანშიაშვილი და „სახ. ფურცლის" კანტორა. ხელის მომწერის ადრესი, სახელი და გვარი გარკვევით უნდა იქმნეს აღნიშნული.

გამომცემელი **ნარდონი.**

**1917 წ. მიიღებ ხელის მოწერა**

**დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ**

**„ნაკადულ"-ზე**

**წელიწადი მეთორმეტე**

ჟურნალი „ნაკადული" გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ**

**24** წიგნი „ნაკადული"-სა მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადული"-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 **წიგნი** 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 **წიგნი**—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

**ფოსტისთვის:** Тифлисъ Головинскій пр., 8. შემოსასვლელი დავითის ქ. № 2. დაწვრილებით ჟურნალში. რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი **თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**

(291—21)

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. მესხელოვები**

**პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სხვაჭრო სახლ. **„დ. მაილოვის-ძმით,** სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა,** მცირე მარილიანი, შავი **„მეშოჩნე"** ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის **შამაიები** მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, **ფორეჯი და** ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

**უპირველესი, რადიკალური და სწრაფი**

**მასთან იაფი საშუალება**

**სიფილის,** სახსრების ავადმყოფობას, სახსრებისა და კუნთების ქრონიკულ რევმატიზმის, ნეკრესის ქარებს, საერთო გადამდებ ავადმყოფობას, ლითონებით მოწამლულს, თვალის ავადმყოფობას, სიფილისის წყლულებს, წითელას, ხერხემლის გამოფიტვას, დამბლას და სხვას **საჩქაროდ კურნავს** საქვეყნოდ ცნობილი შვეიცარიული საექიმო საშუალება **პროფესორ როშის**

**იოდასტარინი**

ნუ შეგეცვლებათ სხვა პატენტოვან საშუალებებში. პროფესორ როშეს პრეპარატი წმინდა საექიმო საშუალებაა, გასინჯულია საუკეთესო ევროპიულ კლინიკებში და სანატორიებში კურსების ფასი 32 მანეთი, 1/2 16 მანეთი 1/4 8 მანეთი, ყოველი მილი 4 მანეთი და 50 კ. ღირს. სხვა ქვეყნებში იგზავნება ხუთი მანეთის ბეს მიღების შემდეგ. ვისაც რაიმე მოლაპარაკება და პრეპარატის შეკვეთა გსურთ, მიმართეთ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიას.

**თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 16—6—4. სახელმწიფო ბანკის ახლოს.**

Тифлисское Отдѣленіе Парижской фармацевтической Лабораторій, Тифлисъ, Лорисъ-Меликовская, № 16, отд. 6—4. противъ Государственнаго банка.

**ქარებს (რევმატიზმის),**

**ნეკრესის**

**თირკმელების (ჭაჭების)**

და სხვა ამგვარ ავადმყოფობის დროს უებარი წამალია **„უროდონალ"**, და მაზი წასასმელი **„ატრო"**, სრულიად უვნებელია და მოქმედობს ძლიერ კარგად. ფასი **„ურდონალისა"** ხუთი მანეთი და მაზისა სამი მანეთი. მთელი წამლობისათვის საჭიროა ოთხი ფლაკონი **„ურდონალი"** და ოთხი კოლოფი მაზი **„ატრო"**. სხვა ქვეყნებში იგზავნება ხუთ მანეთის ბეს შემდეგ. დასაკვეთად და მოსალაპარაკებლად უნდა მიმართოთ მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებას.

**თბილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 16: გან. 6—9, სახელმწიფო ბანკის მახლობლად.**

Тифлисское Отдѣленіе Парижской-фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Мемиковская № 16, отд. 6—9. Противъ Государственнаго Банка.

**სუსუნატით (გონორეა) ავადმყოფებს,**

რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძინენ ცნობილ საშუალებას **„რეზუროლინი"**, რომელიც სულ ცოტახანში არჩენს გაარჯლებულ და ქრონიკულ **სუსუნატს** საშარდე ბუშტისას, ბისას და სხვ.

**რატომ**

ზოგჯერ ავადმყოფები ყურადღებას არ აქცევენ ავადმყოფობას და იგი მთელს ტანში ვრცელდება?

**იმიტომ, რომ,**

**ჯერ** ერთი, დღეს დიდი კრიზისია წამლებისა.

მეორედ, იმიტომ, რომ მართლაც ძნელია ნამდვილ, რადიკალურ საშუალების გამონახვა.

**მაგრამ ყველა** ავადმყოფმა, ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა შეიძინოს უებარი **„რეზუროლინი"**. სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, აგრეთვე პროფესორებისამ, დაამტკიცა, რომ

**„რეზუროლინი"**

ნამდვილად არჩენს სუსუნატს. მთლად მოსარჩენათ ახალი ავადმყოფისა ღირს 21 მანეთი და ძველებულისა 35 მან. 50 კ. მთელი წამლობა შეადგენს ორ საშუალებისაგან სხვა. ქვეყნებში იგზავნება 5 მანეთის ბეის მიღების შემდეგ.

შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ **პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებაში: თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 16, განყ. 6—1, სახელმწიფო ბანკის პირდაპირ.**

**За заказами и справками обратиться въ Тифлисское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская, № 16, отд. 6—1, напротивъ Государственнаго Банка.**